# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 25 მაისი 2001 №95 (1368) | ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი ლეკიანობა საქართველოში

## კახა კალაძის ძმა გაიტაცეს

### ქართული პოლიცია დუმს, იტალიური მილანი კი ღელავს



ზურაბ დოლენჯაშვილის ფოტო

***გუშინწინ დილით სახლიდან გასული საქართველოს ნაკრებისა და იტალიის „მილანის" მცველის კახა კალაძის ძმა, ლევანი შინ არ დაბრუნებულა. გუშინ თბილისში მისი ფულის გამოძალვის მიზნით გატაცებაზე ალაპარაკდნენ.***

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრში მომხდარზე თითქმის ვერაფერი გვითხრეს — ეს ამბავი ჩვენც გავიგეთ, მაგრამ კონკრეტულს ვერაფერს გეტყვით, პოლიციისთვის ჯერ არავის მოუმართავს, რომ კახა კალაძის ძმა დაკარგულიაო. მოსკოვიდან გუშინ დაბრუნებულმა შინაგან საქმეთა მინისტრმა კახა თარგამაძემ ფაქტი არც უარყო, არც დაადასტურა და რაიმე კომენტარისგან თავი შეიკავა.

ქალაქში კი ლევან კალაძის გატაცებასთან დაკავშირებით ასეთი ხმა გავრცელდა: დილით სამედიცინო უნივერსიტეტში ლექციებზე დასასწრებად მიმავალმა ლევანმა გზად ერთ-ერთ პოლიკლინიკაში შეიარა, იქ მას ორი უცნობი მიუახლოვდა... შემდეგ კალაძეების ოჯახში დაურეკავთ, ამა და ამ ადგილას წერილს ნახავთო. კალიგრაფია ლევანის ყოფილაო...

გუშინვე, გვიან ღამით თბილისში ჩამოფრინდა ლევან და კახა კალაძეების მამა — კარლო, რომელიც მილანში იმყოფებოდა და დაბრუნებას კახასთან ერთად 28 მაისს აპირებდა.

„მილანში" კი თურმე ერთი ამბავია. კახა კალაძეს ორი დღეა, არ უძინია. კლუბის ხელმძღვანელობა და ფეხბურთელებიც შეშფოთებულნი არიან გაგებული ამბით. „მილანის" ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ გუნდი საგანგებოდაც შეკრიბა და დაახლოებით საათნახევარი კახა კალაძის დამშვიდება-გამხნევებას მოანდომა.

— მას ახლა ფსიქოლოგიურად ძალიან უჭირს, ის „მილანის" ერთ-ერთი საუკეთესო, ყველასგან პატივცემული ფეხბურთელია და იცოდეთ, მას კლუბი ყველანაირად დაეხმარება — გვითხრეს გუშინ მილანური კლუბის წარმომადგენლებმა.

გუშინვე ლევან კალაძის გატაცების თაობაზე იტალიური პრესა და უცხოური საინფორმაციო სააგენტოებიც ალაპარაკდნენ.

კალაძეების ოჯახში კი ჯერჯერობით არაფერს ამბობენ.

კობა ინასარიძე

**LA STAMPA**

**GEORGIA: NESSUNA NOTIZIA DEL FRATELLO DI KALADZE**

**Ancora nessuna notizia di Levan Kaladze il 21enne fratello del giocatore del Milan, Kakha Kaladze, scomparso da casa da due giorni...**

# გვეშინია, ესე იგი, ვარსებობთ

ეროვნული ბიბლიოთეკა



REUTERS

პსვ — ტვენტე. ენსხედელმა სკოტ ბუთმა (წინა პლანზე) და მისმა თანაგუნდელებმა ჩემპიონებს თასი არ დაანებეს



REUTERS

პსვ — ტვენტე. ენსხედელთა მეკარე სანდერ ბოსხერზე „ამსტელის" თასი ალალია: მან სამი პენალტი მოიგერია

# იბრძოლეთ!

## გოჩა ტყებუჩავასთან სხვანაირად არ გამოვა

*მეთორმეტე ეროვნულში თბილისის „დინამოს" მიერ მოპოვებულ ბრინჯაოს სხვა ფასი აქვს. საშემოდგომო ეტაპის შემდეგ გუნდიდან 13 ფეხბურთელი წავიდა, შევსება კი ახალგაზრდული მოვიდა, გამოუცდელი ფეხბურთელები, რომელთაგან ზოგს უმაღლეს ლიგაში საერთოდ არ უთამაშიათ. ასე რომ, „დინამოს" შედეგი დადებითად უნდა შეფასდეს, რაშიც მთავარი მწვრთნელის წვლილი ერთობ დიდია. გოჩა ტყებუჩავას „დინამო" საგაზაფხულო ეტაპიდან ჩააბარეს.*

**— ასეთი გუნდით მესამე ადგილზე გასვლა ურიგო შედეგი არ არის. რასაც მიაღწიეთ, მაქსიმუმი იყო?**

— რაც მიზნად დავისახეთ, შევასრულეთ — სამეულში მოვხვდით. გუნდის ხელმძღვანელობა და ფეხბურთელები ამით კმაყოფილნი არიან. თუმცა შეიძლებოდა, მეტისთვისაც მიგვეღწია, ან, პირიქით. მაგრამ უპირველესად ის უნდა გავითვალისწინოთ, რომ საშემოდგომო ეტაპის მერე გუნდის ძირითადი შემადგენლობიდან მხოლოდ ოთხი ფეხბურთელი შემოგვრჩა, მაგრამ მოვახერხეთ ახალი გუნდის შეკვრა, შევეცადეთ ტაქტიკურად მომზადებულიყავით. ბიჭებმა ღირსეულად იბრძოლეს.

**— მწვრთნელად არ გიმუშავიათ და უცებ თბილისის „დინამო" ჩაგაბარეს...**

— ასეთ დიდ პასუხისმგებლობას არ შევუშინებივარ. ის, რომ „დინამოს" მთავარი მწვრთნელი გავხდი, პირველ რიგში რევაზ არველაძის და ტყუპების დამსახურებაა. ვფიქრობ, რომ მე და ნიკა ჩხეიძემ საქმეს თავი გავართვით.

**— რითი განსხვავდებოდა გოჩა ტყებუჩავას „დინამო" იმ გუნდისგან, რომელსაც რევაზ არველაძე საშემოდგომო ეტაპზე წვრთნიდა?**

— განსხვავება დიდია. ღრმად ვარ დარწმუნებული, იმ შემადგენლობით უკეთეს შედეგს მივაღწევდით. გუნდი მაშინ ბურთს გაცილებით კარგად იჭერდა, რადგან გვყავდა ისეთი მოთამაშეები სიჭინავა, გალელია და დათვაძე რომ არიან. საგაზაფხულო ეტაპისთვის კი აქცენტი ბრძოლაზე და ბურთისართმევაზე გადავიტანეთ. ფეხბურთელები სულ მუშაობაში უნდა იყვნენ, გაჩერებულ მოთამაშეს ვერ ავიტან. მიუხედავად დიდი მცდელობისა, ამ მხრივ მაინც მოვიკოჭლებდით. პრესინგს უწყვეტად და მთელს მოედანზე ვერ ვახორციელებდით. სეზონის დამთავრებისთანავე ფეხბურთელებს სამედიცინო შემოწმება ჩავუტარეთ და აღმოჩნდა, რომ მათ უმეტესობას პრობლემები აწუხებთ. ისინი ახლა შვებულებაში გავუშვით და სამკურნალოდ დრო აქვთ. ასე რომ, ამ პრობლემას მოევლება.

**— სიტყვამ მოიტანა და ზოგი იმასაც გსაყვედურობდათ, ფეხბურთელებს ვარჯიშზე ზედმეტად ტვირთავდაო.**

— ვფიქრობ, რომ მოთამაშე დაასვენო და დასვენებით დაგროვილი ჯანის ხარჯზე ათამაშო, სწორი არ არის. კვირაში ერთი დღე ორჯერადი ვარჯიში აუცილებელია, სხვაგვარად მოთამაშე იმ მწვრთნელის დავალებას ვერ შეასრულებს, რომელიც აქტიური ფეხბურთის მომხრეა. ვერ შევეგუები, რომ ჩემს გუნდში ხუთი ფეხბურთელი ბურთისართმევაზე იბრძოდეს, დანარჩენები კი პასიურობდნენ.

**— იყო ლაპარაკი იმაზეც, რომ თქვენ მატჩების დროს მეტად ემოციური ხართ და ხმამაღალი შეძახილებით ახალგაზრდა ფეხბურთელებს ფსიქოლოგიურად თრგუნავდით. ამავე დროს რამდენიმე დინამოელმა ისიც თქვა, ასე მონდომებულები რომ ვართ, მწვრთნელის დამსახურებააო.**

— ახალგაზრდა ფეხბურთელს სათანადოდ თუ არ მოსთხოვ, არაფერი გამოვა. როცა მოთამაშე დავალებას ვერ ასრულებს, უნდა გამოცვალო, მაგრამ გვქონდა კი ჩვენ სოლიდური სათადარიგოთა სკამი? სხვა რა გზა იყო, როგორღაც ხომ უნდა აგრძნობინო ფეხბურთელს, რომ ის, არც მეტი, არც ნაკლები, თბილისის „დინამოს" ღირსებას იცავს. ახლანდელ „დინამოში" ბევრი ერთობ იოლად მოხვდა და არავის მივცემ იმის უფლებას, ისე რა ითამაშოს. შეხვედრამდე ფეხბურთელებს წინასწარ ვაფრთხილებ, ბოლომდე დაიხარჯეთ, თავი არ დაზოგოთ და როცა აღარ შეგეძლებათ, მითხარით და შეგცვლით-მეთქი.

ვცდილობ, ფეხბურთელებთან პროფესიული დამოკიდებულება მქონდეს. ბაზის გარეთ ისინი რას აკეთებენ, ჩემი საქმე არ არის.

**— მომავალზეც ვთქვათ, გუნდი გაძლიერებას საჭიროებს. კმაყოფილი ხართ მეკარეების თამაშით?**

— საქმე ის არის, რომ გრიშიკაშვილი თავიდან ფორმაში არ იყო, მაგრამ თანდათან უმატებდა და სწორედ ამ დროს ტრავმის გამო გამოგვაკლდა. არადა, პლეი ოფისთვის უკვე კარგ ფორმაში იყო. ბათიაშვილზე კარგა ხანია, ვლაპარაკობთ, პერსპექტიული მეკარეაო, მაგრამ სათამაშო პრაქტიკა ხომ აუცილებელია. ამაზე ვზრუნავთ და რაღაც გამოსავალს გამოვძებნით. კონკრეტულად კი ჯერ ვერაფერს გეტყვით.

**— დაცვის ხაზს როგორ შეაფასებთ?**

— ამ რგოლის გაძლიერებას ვაპირებთ. ჭკვიანი მცველი ნამდვილად გვჭირდება. შაშიაშვილმა კარგად წარმოაჩინა თავი, მაგრამ უფრო მეტი შეუძლია. ბოლო მატჩი „ვიტ ჯორჯიასთან" კი დიდებულად ითამაშა. კმაყოფილი ვარ კანდელაკით და სვანაძით. ალბათ უკვე იცით, რომ „იბერიადან" ამისულაშვილის დამატება გვინდა. ის ფიზიკურად ძლიერია და სწრაფიცაა, თვით ზირაქიშვილს არ დაუდო ტოლი.

საერთოდ კი თუ გუნდის გასაძლიერებლად 5-6 სერიოზული ფეხბურთელი უნდა დავიმატოთ. ახლა ამ საკითხზე ვმუშაობთ.

**— საშემოდგომო ეტაპზე გუნდის თამაშს მნიშვნელოვნად განაპირობებდა არჩილ სახვაძე, თუმცა საშუასეზონო შესვენების შემდეგ ისე ველარ ბრწყინავდა. რამ გამოიწვია ეს, მხოლოდ იმან, რომ რამდენჯერმე უცხოეთში გაემგზავრა ახალი კლუბის მოსაძებნად?**

— აჩიკოს დისციპლინა აკლია, რაც მის თამაშზე აისახება. თავისი კარგი მონაცემებისა და ფიზიკის ხარჯზე მაინც შეუძლია ფონს გასვლა, მაგრამ ეს არ კმარა. თუ ის მეტი სერიოზულობით მიუდგება საქმეს, აქეთ-იქით ხეტიალი აღარ მოუწევს.

ახლა ყველა გუნდმა იცის, რომ სახვაძეს ძალიან კარგად შეუძლია ფლანგური ჩაწოდება, ითვალისწინებენ ამას და აჩიკოც ამიტომ ვერ გამოიყურებოდა ძველებურად. მან მრავალფეროვნად თამაში უნდა ისწავლოს, დასახვეწი აქვს ბურთისართმევა და ვარდნებიც.



**— ლადო ბურდულისგანაც ყველანი მეტს ველოდით. თანაც ზოგიერთი სპეციალისტი მიიჩნევს, რომ ნახევარდაცვის მარჯვენა ფლანგიდან მისი ცენტრში გადაყვანა უფრო ეფექტური იქნებოდა.**

— ჯებ ცენტრში მართლა უკეთ ეთამაშა, მაგრამ გუნდში სხვა მარჯვენაფლანგელი უბრალოდ არ გვყავდა და ექსპერიმენტების დროც აღარ იყო. ლადოს ყველანაირი მონაცემები აქვს და თუ ფეხბურთს უფრო მეტ დროს დაუთმობს, ღრმად ვარ დარწმუნებული, მალე ეროვნული ნაკრების დონეზეც ითამაშებს.

**— კოკა მიკუჩაძეზეც უნდა გკითხოთ. ბოლო დროს მას ძირითადში აღარ ათამაშებდით...**

— მას ძალიან დიდი პერსპექტივა აქვს, მაგრამ ფიზიკური მონაცემების მხრივ მოიკოჭლებს. იგი ოსტატურად თამაშობს, მაგრამ მინდორზე ნაღდი ბრძოლის გარეშე გამორიცხულია, რამეს მიაღწიოს. მიკუჩაძეს ბრძოლა უნდა ვასწავლო. მეორე მხრივ, გიორგი მიქაძის ძირითადიდან ამოვარდნა არ მინდოდა. ეს ბიჭი სერიოზულად ვარჯიშობს და ემზადება, უფეხბურთოდ ცხოვრება არ შეუძლია და „დინამოზე" ფანატიკურადაა შეყვარებული. უფლება არ მქონდა, ეს არ დამეფასებინა.

**— „დინამოზე" საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით ზაზა ზირაქიშვილს...**

— ზაზას ბომბარდირობას ვულოცავ და მადლობას ვუხდი — მან, ფაქტობრივად, ცალი ფეხით ჩაამთავრა სეზონი, ხან მუხლი აწუხებდა, ხან კოჭი. მადლობას საერთოდ ყველა დინამოელი იმსახურებს, ბიჭებმა რაც შეეძლოთ ყველაფერი გააკეთეს. აუცილებლად უნდა აღვნიშნო შსს-ს, რევაზ არველაძისა და ნიკა ივანიშვილის დიდი დამსახურებაც. მათ ყველანაირად შეგვიწყვეს ხელი.

**— თქვენს მომავალს როგორ უყურებთ „დინამოში". ალბათ, მაინც წამოიჭრება გუნდის ახალი მთავარი მწვრთნელის დანიშვნის საკითხი. შესაძლოა, უფრო ავტორიტეტულ სპეციალისტს უხმონ, გოჩა ტყებუჩავას სახელი ჯერ ისე არ ჟღერს.**

— თუ მთავარ მწვრთნელად სხვას მოიწვევენ და მის თანაშემწედ დამნიშნავენ, ამას არ ვითაკილებ. უკვე ბედნიერი ვარ იმით, რომ ოცნება ავისრულე და მწვრთნელი გავხდი. ვერ წარმოვიდგენდი, თუ „დინამოს" გაწვრთნა მომიწევდა.

მართალია, სემინარებზე არ მივლია, მაგრამ ისეთი მწვრთნელების ხელში გამივლია, რომ მათგან ბევრი რამ ვისწავლე. მოსკოვის „დინამოს" დამრიგებელ ვიაჩესლავ სოლოვიოვისგან და განსაკუთრებით მიხაილ ფომენკოსგან.

**დავით თავართქილაძე**



გოჩა ტყებუჩავასა (მარცხნიდან მეორე) და მისი ბიჭებისთვის ბრინჯაოც საქმეა

## იტალია

### თასის ფინალი. I მატჩი

### პარმა 0:1 ფიორენტინა

0:1 ვანოლი (87)

პარმა: ბუარდალბენი, ტურამი, სენსინი, ფ. კანავარო, სარტორი (სერჟიუ კონსეისაუ 73), ლამუში, ალმეიდა, ჟუნიორი, მიკუ, მილოშევიჩი (მბომა 81), დი ვაიო (ამოროზო 62)

მწვრთნელი: რენცო ულივიერი

ფიორენტინა: ტოლდო, რეპკა, ადანი, პიერინი, მორეტი, მარკო როსი (ბრესანი 71), ლეანდრო, დი ლივიო, ვანოლი, რუი კოშტა, კიეზა

მწვრთნელი: რობერტო მანჩინი

17 685 მაყურებელი

საპასუხო მატჩი გაიმართება 13 ივნისს ფლორენციაში, „არტემიო ფრანკიზე"

## ჰოლანდია

### თასის ფინალი

პსვ ეინდჰოვენი 0:0 (პენ. 3:4) ტვენტე

## დანია

### თასის ფინალი

აკადემისკი 1:4 სილკებორგი

## ავსტრია

### XXXVI ტური

ადმირა 0:0 რიდი

აუსტრია 0:2 ტიროლი

ლინცერი 5:0 ბრეგენცი

ზალცბურგი 1:2 გრაცერი

შტურმი 1:1 რაპიდი

## ნორვეგია

### VIII ტური

ბოდო გლიმტი 0:0 ბრინი

მოლდე 3:2 ლინი

მოსი 1:2 სოგნდალი

რუსენბორგი 2:1 ოდ გრენლანდი

ტრომსიო 0:1 სტრომსგოდსეტი

ვიკინგი 3:2 ლილესტრიომი

ბრანი 8:1 სტაბეკი

## ფინეთი

### VIII ტური

ჰაკა 0:0 მიუპა

ჯაზი 0:3 ჰიკ

იოკერიტი 1:1 ვააასა

როვანიემი 1:1 ლაჰტი

2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. VIII ჯგუფი. 2 ივნისი

# საქართველო — იტალია

## მოუცლელი ტრაპატონი ჟურნალისტებისთვის აუცილებლად იცლის

იტალიის ეროვნული ნაკრების მწვრთნელი ჯოვანი ტრაპატონი სათბილისო შემადგენლობას დღეს დაასახელებს, გუშინ კი იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ „სკუადრა აძურას" მზადებისა და თბილისში სტუმრობის განრიგი გამოაქვეყნა:

*28 მაისი, ორშაბათი. შეკრება კოვერჩანოს საწვრთნელ ბაზაზე.*
*29 მაისი, სამშაბათი. დილის ვარჯიში, პრესკონფერენცია, დახურული ვარჯიში*
*30 მაისი, ოთხშაბათი. დახურული ვარჯიში დილით, ფეხბურთელების პრესკონფერენცია*
*21.00 ამხანაგური საწვრთნელი მატჩი სერია C-ს 19-წლამდელთა ნაკრებთან, ჯოვანი ტრაპატონის პრესკონფერენცია*
*31 მაისი, ხუთშაბათი. ვარჯიში, პრესკონფერენცია, ავიარეისი პიზა-რომი-თბილისი, დაბინავება სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში".*
*1 ივნისი, პარასკევი. ვარჯიში „შევარდენის" სტადიონზე 18 საათზე, პრესკონფერენცია*
*2 ივნისი, შაბათი. 21.00. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი: საქართველო — იტალია, პრესკონფერენცია*
*იმავ საღამოს ჩარტერული რეისი რომში.*

## ჯენტილემ ბიჭები გაამზადა

**ვახტანგ კოპალეიშვილს** 1 ივნისს დიდი გამოცდა ელის. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ახალი მწვრთნელის მიერ შერჩეულ ბიჭებს, რომელთა ვინაობაც გუშინწინდელ „სარბიელში" უკვე გამცნეთ, ეროვნულ სტადიონზე საღამოს ცხრის თხუთმეტ წუთზე თანატოლი, 21 წლის იტალიელი ფეხბურთელები დაუპირისპირდებიან.

ახალგაზრდული ნაკრებების მატჩზე დასწრების მსურველებს 1, 3 და 5 ლარის გაღება მოუწევთ.

ამასობაში კი, იტალიის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელმა კლაუდიო ჯენტილემ, ქართველებისგან განსხვავებით, მზადება უკვე დაიწყო და შეკრებაზე 20 ფეხბურთელი იხმო:

*მეკარეები: ივან პელიცოლი (ატალანტა), ჯენეროზო როსი (ვენეცია);*

*მცველები: მატეო ფერარი (ინტერი), ალესანდრო გამბერინი (ბოლონია), ანტონიო ბოკეტი (ნაპოლი), დანიელე ბონერა (ბრეშა), პაოლო კასტელინი (ტორინო), სტეფანო ლუკინი (ტერნანა);*

*ნახევარმცველები: მატეო ბრიგი (იუვენტუსი), მასიმო დონატი (ატალანტა), ენცო მარესკა (ბოლონია), ჯუზეპე კოლუჩი (ვერონა), სალვატორე ვიკარი (რეჯინა), სამუელე ოლივი, ნიკოლა კამპედელი (ორივე სალერნიტანა), ნიკოლა კორენტი (სიენა);*

*თავდამსხმელები: ვინჩენცო იაკინტა (უდინეზე), კორადო კოლომბო (ტორინო), მასიმო მაკარონე, მარკო მარკიონი (ორივე ემპოლი).*

ჯენტილემ რჩეულნი პატარა ქალაქ ტირენიაში, სასტუმრო „კონტინენტალში" დააბინავა და ქალაქის ცენტრალურ სარბიელზე ავარჯიშებს.

ფერმოს მატჩისგან განსხვავებით, რომელიც იტალიელთა გამარჯვებით, 3:2 დასრულდა, თბილისში ვერ ვიხილავთ ჩვენებურთა მთავარ დამწიოკებლებს, „ბარის" თავდამსხმელ ანტონიო კასანოსა და „ბრეშას" ნახევარმცველ ანდრეა პირლოს — ორივე ტრავმირებულია.

**გიორგი ვაშაძიძე**

### ჩვენი მეტოქე

## ბოლონის სპორტინგისთვის არ სცხელა

**რუმინეთის** ნაკრებისა და ბარსელონის „ესპანიოლის" ნახევარმცველმა კონსტანტინ გალკამ, ნაკრებში თამაში რომ იუარა, გუშინდელ „სარბიელში" გაუწყეთ. გალკა მწვრთნელ ლადისლაუ ბოლონიზე გამწყრალა, არ მათამაშებს და რა აზრი აქვს ჩემს შეკრებაზე ჩასვლასო. გუშინ ბოლონიმ ის 23 ფეხბურთელი დაასახელა, რომელთაც 2 და 6 ივნისს უნგრელებთან და ლიტველებთან სათამაშოდ მოამზადებს. გალკა, ცხადია, მათ შორის არ არის.

— მე ზუსტად იმდენი ფეხბურთელი გამოვიძახე, რამდენიც საჭიროდ ჩავთვალე. ჯერ არ ვიცი, ვინ რას აკეთებს, როგორ ფორმაშია. შევხედავ, შეკრებაზე დავაკვირდები და საუკეთესო თვრამეტსაც მერე შევარჩევ — განაცხადა ბოლონიმ.

გალკასგან განსხვავებით, კვლავაც გამოინახა ადგილი ბეტისელი იულიან ფილიპესკუსთვის და აიაქსელი კრისტიან კივუსთვის. ახლა ორივეს უმნიშვნელო ტრავმები აწუხებთ, თუმცა ბოლონი იმედოვნებს, რომ ისინი მალე განაახლებენ ვარჯიშს.

სხვათა შორის, ლადისლაუ ბოლონის თურმე ლისაბონის „სპორტინგის" მწვრთნელობას სთავაზობენ. მწვრთნელმა კი თქვა, ახლა სხვა არაფერი მაინტერესებს, მხოლოდ უნგრეთთან და ლიტვასთან მატჩებზე ვფიქრობ.

ლადისლაუ ბოლონის რჩეულნი კი ესენი არიან:

*მეკარეები: ბოგდან სტელია (სალამანკა, ესპანეთი), ფლორინ პრუნია (დინამო);*

*მცველები: კოზმინ კონტრა (ალავესი, ესპანეთი), მირელ რადოი, მარიუს ბაჩიუ (ორივე სტიაუა), ადრიან იენჩი (რაპიდი), ლივიუ ჩობოტარიუ (სტანდარდი, ბელგია), დანიელ პროდანი (როკარი), იულიან ფილიპესკუ (ბეტისი, ესპანეთი), კრისტიან კივუ (აიაქსი, ჰოლანდია);*

*ნახევარმცველები: ფლორენტინ დუმიტრუ (სტიაუა), დენის სერბანი (ელჩე, ესპანეთი), პოლ კოდრია (ჯენოა, იტალია), ადრიან მუტუ (ვერონა, იტალია), დორინელ მუნტეანუ (ვოლფსბურგი, გერმანია), იულიან ტამეში (დინამო), ლაურენტიუ როსუ (ნუმანსია, ესპანეთი), კატალინ მუნტეანუ (სალამანკა, ესპანეთი);*

*თავდამსხმელები: იონელ განია (შტუტგარტი, გერმანია), ვიორელ მოლდოვანი (ნანტი, საფრანგეთი), ადრიან ილიე (ვალენსია, ესპანეთი), იონელ ტერსინიო განე (სენტ გალენი, შვეიცარია), მარიუს ნიკულაე (დინამო).*

**გიორგი ვაშაძიძე**

1868 წლიდან: "მიხეილის" საქალაქო საავადმყოფო
1924 წლიდან: რესპუბლიკური საავადმყოფო პლეხანოვზე
1973 წლიდან: რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფო ვაჟა-ფშაველაზე
2000 წლიდან: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიკოს ნ. ყიფშიძის სახელობის
ცენტრალური კლინიკა

მისამართი
380109. ვაჟა-ფშაველას 29
ტელეფონები
კანცელარია: 39 23 89
ცნობათა ბიურო: 39 22 89
მიმღები განყოფილება: 39 26 32
საუკუნოვანი გამოცდილება
უახლესი ტექნოლოგიები



ტირასპოლის „შერიფის" 23 წლის ქართველი ნახევარმცველი დავით მუჯირი თანამემამულე ვაჟა თარხნიშვილთან ერთად ოთხშაბათს მოლდოვის თასის მფლობელი გახდა.

ქართველების გუნდმა ფინალურ მატჩში „ნისტრუს" სძლია პენალტების სერიაში და უეფას თასზე თამაშიც გაინაღდა, თუმც „შერიფს" წლეულს უფრო სერიოზული მიზნები აქვს, ჩემპიონატის დასრულებამდე სამი ტურით ადრე გუნდი სატურნირო ცხრილის სათავეშია და აქედან გამომდინარე, ჩემპიონობის და, შესაბამისად, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე მონაწილეობის კარგი შანსიც აქვს.

გუშინ დავით მუჯირს ტირასპოლში დავუკავშირდით.

## შერიფი თუ დაწინაურდა, მუჯირი წოდებას მიიღებს

— საოცრად გახარებული და ბედნიერი ვარ. „ნისტრუს" სახით მოლდოვის თასის ფინალში ერთობ ძლიერი მეტოქე გვყავდა. ეს გუნდი აქამდე ზედიზედ ორჯერ იყო თასის ფინალში, ხელი მოეცარა და მგონი, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა თავდადებით შეეცდებოდა მესამე შანსის გამოყენებას. ძალიან რთული თამაში იყო, ერთი შეხედვით მცირე უპირატესობა კი გვქონდა, მაგრამ გოლის გატანის შანსი პრაქტიკულად არც მოგვცემია, ისევე როგორც ჩვენს მეტოქეს. ძირითადი და დამატებითი დროც ფრედ, 0:0 დასრულდა.

**— ქართველებიდან ორივემ ითამაშეთ?**

— მეც და თარხნიშვილმაც სრულად ჩავატარეთ მატჩი. პენალტების სერიაში პირველი დარტყმა მე ვითავე და გავიტანე კიდეც, გადამწყვეტი მეხუთე პენალტი კი ვაჟამ შეასრულა და საბოლოოდ 5:4 ვიმარჯვეთ.

**— გუნდის ხელმძღვანელები დაგიფასებდნენ გარჯას...**

— „შერიფში" ცოტა სხვაგვარადაა საქმე. აქ კონკრეტული მატჩის მოგებისთვის ტრადიციულ პრემიალურებს არ გვიხდიან. სეზონის დაწყების წინ გუნდის ამბიციურმა პატრონებმა მიზნად ჩემპიონობა და თასის აღება დაგვისახეს და საამისოდ კარგ გასამრჯელოსაც დაგვპირდნენ. ერთი ამოცანა უკვე შევასრულეთ და ბედს არ ვუჩივი, ჩემპიონებიც თუ გავხდით, ამას რაღა აჯობებს...

**— ჩემპიონატის დამთავრებამდე სამი ტურია დარჩენილი და კიშინიოვის „ზიმბრუს" ერთი ქულით უსწრებთ...**

— ერთი ქულით, რომელიც ბევრს არაფერს წყვეტს. უმძიმესი მატჩი გვაქვს კვირას „ჰაიდუკ-სპორტინგთან". ესეც კიშინიოვის გუნდია და თანაქალაქელთა გასაჩემპიონებლად თავს შეგვაკლავს. ეს გუნდი ჩვენთვის ერთობ უხერხული მეტოქეა. პირველ წრეში ტირასპოლში ლამის ქულები დაგვაკარგინა, მატჩის ბოლოს, მსაჯის მიერ დამატებულ წუთებში ვძლიეთ პენალტით. კვირას კი მათ სარბიელზე, კიშინიოვში გვიწევს თამაში და პრინციპში ფინალური მატჩია ჩვენთვის. თუ მოვიგეთ, დარჩენილ ორ შეხვედრაში აღარ გაგვიჭირდება პირველი ადგილის შენარჩუნება, რადგან აუტსაიდერებს ვხვდებით.

**— ჩემპიონატში უკვე 13 გოლი გაიტანე, ბომბარდირობაზეც ხომ არ ფიქრობ?**

— ერთი გოლით ჩამოვრჩები თანაგუნდელ ბარბუროშს. იგი მეორე წრიდან შემოგვიერთდა და ფეხდაფეხ მივსდევთ ერთმანეთს... თუმც ამ ეტაპზე პირად მონაგარზე ფიქრი გაუმართლებლად მიმაჩნია, რადგან უპირველესი გუნდის ინტერესებია. ალბათ, ბარბუროშიც ასევე ფიქრობს. მთავარია, „შერიფი" გაჩემპიონდეს და გოლებს ვინ გაიტანს, რა მნიშვნელობა აქვს.

**— სეზონის ბოლოს გუნდთან კონტრაქტი გიმთავრდება, რა გეგმები გაქვს?**

— ამჯერად გადაჭრით ვერაფერს ვიტყვი, რამდენიმე დღის წინ „შერიფის" პრეზიდენტმა კონტრაქტის გაგრძელებაზე ჩამომიგდო სიტყვა. ვუთხარი, ამჟამად მხოლოდ გუნდის ჩემპიონობაზე ვფიქრობ და საბოლოო პასუხს სეზონის ბოლოს გეტყვით-მეთქი. მაქვს რაღაც-რაღაც ვარიანტები, მაგრამ გადაწყვეტილება ჯერაც არ მიმიღია. ვნახოთ, ტირასპოლელები რა პირობებს შემომთავაზებენ...

**— თუ არ ვცდები, თარხნიშვილმა უკვე გააკეთა არჩევანი...**

— დიახ. ვაჟამ ახალ, სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი და კვლავაც „შერიფში" ითამაშებს. სხვათა შორის, აქ მას ერთობ ემადლიერებიან. გუნდის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია.

**— ალბათ, დიდი ხანია, ეროვნულ ნაკრებში გამოძახებას ელი, გული ხომ არ გწყდება, შანსს რომ არ გაძლევენ?**

— სხვათა შორის, ცოტა ხნის წინ შეგუებული ვიყავი იმას, რომ ნაკრებში არ მიძახებდნენ. ჩემს პოზიციაზე ერთობ დიდი კონკურენცია იყო და სათქმელიც რა მქონდა. მხოლოდ ვოცნებობდი, რომ ერთ დღეს ჩემი დროც დადგებოდა. დღეს კი ცოტათი მართლაც გულდაწყვეტილი ვარ. ბოლო დროს ამდენ ფეხბურთელს მისცეს თავის გამოჩენის შანსი ეროვნული ნაკრების მწვრთნელებმა, საწყენია, რომ კანდიდატთა შორის ჩემი და ვაჟას ადგილი არ გამოინახა. ურიგო არ იქნება, ერთი შანსი ჩვენც მოგვცენ... ისე, მჯერა, ადრე თუ გვიან მიზანს მივაღწევ. საამისოდ ძალ-ღონეს არ დავზოგავ. ნებისმიერი ფეხბურთელისთვის ხომ უპირველესი ოცნება ეროვნულ ნაკრებში თამაშია.

**ბაატა ძმანტალიანი**



დავით მუჯირი

საქართველოს უმაღლესი ლიგა 12 ჩემპიონატი მეორე ეტაპი

# მიმოხილვა

# დაძაბული და უფერული

**იყო** დაძაბულობა, იმედგაცრუება და გაკვირვებაც. საქართველოს მეთორმეტე ჩემპიონატი დღეს უკვე თითქმის ისტორიაა. მის ავანჩავანზე მსჯელობისას უმთავრესი ალბათ ის გახლავთ, რომ ფეხბურთის დონე აქამდე არნახულად დაეცა.

არსებული დაძაბულობა იმ სისტემის ნაყოფია, რომელიც ფეხბურთის ფედერაციას მოუგონია და პროგრესულსაც უწოდებს, თუმც წინსვლა უშუალოდ ხარისხზე არ აისახება.

სხვაც ბევრი რამ შეიძლება კაცმა დაინახოს. თუნდაც ის, რომ ფედერაციამ ჩაწყობა-გარიგებაზე, არასპორტულ საქციელსა თუ „ფეარ პლეის" პრინციპების დარღვევაზე ღიად დაიწყო საუბარი. თუმცა ფეხბურთის ჩინოსნების მონდომება მარილმოუყრელი მადლივით დარჩა. დაისაჯა მხოლოდ ოთხი გუნდი. ძნელია, მათ ვერდიქტს დასჯა ვუწოდოთ, რადგან საეჭვო თამაში გაცილებით მეტი იყო.

ეს ყველაფერი იქნებ მომავალში გაითვალისწინონ საფეხბურთო ჩინოვნიკებმა, დღეს კი იმას ვიტყვით, რომ მეთორმეტე ეროვნული, მისი არაერთი წუნის მიუხედავად, მაინც შედგა.

თორმეტივე გუნდს თავისი მისია ჰქონდა გათამაშებისას, მაგრამ ზედმიწევნით თითქმის ვერც ერთმა შეასრულა იგი. ზოგი მაინც კმაყოფილია, ზოგიც ყველაფერზე უკმაყოფილო. და მაინც, ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპი მოულოდნელი შედეგებით დასრულდა. არა, „ტორპედოს" ჩემპიონობა მოულოდნელი არ ყოფილა, არც რკინიგზელთა პრიზიორობა იყო საკვირველი. მოულოდნელობა „დინამომ" შემოგვთავაზა და „ვიტ ჯორჯიამ", თავისი არასტაბილური თამაშით.

გასაკვირი იყო „კოლხეთის" არაფრისმთქმელი და უსუსური ბურთაობა. „მერანმა" მაქსიმუმს მიაღწია. „ბათუმი" იმ ადგილს დასჯერდა, რასაც იმსახურებდა.

ვფიქრობ, „იბერიას" გავარდნაც სამართლიანი იყო. ალბათ, თსუ-სიც, „დილამ" ჯერ კიდევ უნდა გაარკვიოს თავისი ბედ-იღბალი. „გორდა" კი, თუ ოდნავ პირობები ექნება, მომავალში უკეთეს ფეხბურთსაც ითამაშებს, „სიონი" ისევ ძველებური იყო, მშფოთვარე და აგრესიული.



გაფარი ქართველიშვილის ფოტო

მეთორმეტე ჩემპიონატი „ვიტ ჯორჯია" — „დინამოს" დაძაბული და სკანდალური მატჩით დასრულდა

## ტორპედო

ჩემპიონმა მართლაც ჩემპიონურად დაიწყო და ფეხბურთსაც სანახაობრივს თამაშობდა, მაგრამ მერე გაუჭირდა. პირველი ეტაპის შემდეგ თითქმის გადასხვაფერებული წარუდგა „ტორპედო" მეტოქეებს და თავის ქომაგებს. ფაქტობრივად ახალი გუნდის შენება დაიწყეს ქუთაისელებმა და დასკვნითი ეტაპის დასაწყისიც არ გამოუვიდათ შთამბეჭდავი. სწორედ მაშინ გახდა საეჭვო რიონისპირელთა პირველობაც.

მერე და მერე ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. ძლიერმა შემადგენლობამ, მწვრთნელებმა, კარგმა პირობებმა და ქომაგობამაც თავისი გაიტანეს.

პირადად მე არ ვეთანხმები იმ აზრს, რომ დასკვნით ეტაპზე „ტორპედომ" შვიდი მცველით ითამაშა. კი, რევაზ ქემოკლიძე, ვალტერ გუჩუა და გივი დიდავა ამპლუით მცველები არიან, მაგრამ ყიფიანმა და ძოძუაშვილმა ისინი ნახევარმცველებად აქციეს.

მწვრთნელებს ალბათ სურდათ, მებრძოლი შუა ხაზი ჩამოეყალიბებინათ, რაც ასე იშვიათია ჩვენში. თითოეულს კარგად ეხერხება ბურთისართმევა, ძალისმიერი და თავით თამაში. ჯერი იერიშების წამოწყებაზე და საგოლე მომენტების შექმნაზე მიგვიდგა და, თუ ზემოთ ხსენებული სამეული ისეთივე შემქმნელები დადგებიან, როგორი ჩამშლელებიც არიან... ჩემი აზრით, სწორედ აქეთკენ ისწრაფვიან „ტორპედოს" თავკაცები და თუ ეს მოახერხეს, მაშინ გუნდიც სოლიდური ეყოლებათ.

დღეს ქუთაისელებს ჯერაც არ ჰყავთ ის გუნდი, რომელიც ევროთასებზე სოლიდურად ითამაშებს. ისე, გუნდის შექმნასაც გვარიანი დრო სჭირდება.

რაც შეეხება „ტორპედოს" დაცვასა და თავდასხმას, აქ ფართო არჩევანია და რიონისპირელ ქომაგს შეუძლია, მშვიდად იყოს, ჯერ ჩემპიონობას არავინ და არაფერი ემუქრება.

ვინ შეიძლება ქუთაისელთა შორის გამოვარჩიოთ? აუცილებლად ირაკლი ზოიძე, რომელსაც კარგა ხანია, ასეთი სტაბილური სეზონი აღარ ჰქონია. გუჩუა, მუდამ მებრძოლი და თავდაუზოგავი. მალხაზ ასათიანი, საზრიანი და ტექნიკური ახალგაზრდა ნახევარმცველი და, რა თქმა უნდა, იონანიძე, ყველა პრინციპულ მატჩში თავგამოჩენილი.

## ლოკომოტივი

პირველი ეტაპის შემდეგ რკინიგზელთა გაჩემპიონებას ბევრი წინასწარმეტყველებდა. ალბათ, ასეც მოხდებოდა, მაგრამ უდროო დროს უწიათ განხეთქილებამ. დასკვნით ეტაპზე ფაქტობრივად განახლებული „ლოკომოტივი" ვიხილეთ. აწყობილი მექანიზმი მოშლილი იყო და გივი ნოდიასაც დიდი ძალისხმევა დასჭირდა რათა არეული დაელაგებინა.

„ლოკომოტივს" ჩავარდნები დასჩემდა, აქეთ ტრავმებმაც დარიეს ხელი და დასჯერდნენ ბოლოს ვიცე-ჩემპიონობას. ჰო, არ დაგვავიწყდეს თასის ფინალი. ისინი შინ თამაშობენ და ძალუძთ გამარჯვება, თუმც ეს არ იქნება იოლი.

რკინიგზელების პროგრესზე ლაპარაკი შეიძლება. მათ ჰქონდათ ბრინჯაო, ფლობდნენ თასს, ახლა ვერცხლიც ჩამოიკიდეს გულზე. მომავალში ჩემპიონობის ჯერია.

სტაბილური იყო გიორგი ლომაია, საიმედო გამოცდილი ცხადაძე, საუკეთესოდ თამაშობდა გოგიჩაიშვილი, ბოლოსკენ გაიხსნა კადარაშვილი.

„ლოკომოტივს" მაინც მეტი უნდა, მაგრამ ყველაფრის გათვალისწინებით, მგონია, რომ გუნდმა მაქსიმუმს მიაღწია.

## დინამო

დაქსაქსულობიდან პრიზიორობამდე სავალი გზა არ იყო ძნელი, მაგრამ ათგზის ჩემპიონმა თითქმის შეუძლებელი შეძლო. ახალგაზრდული გუნდით მეტის მიღწევაზე ოცნებაც არ შეიძლებოდა და არც იყო სასურველი.

გოჩა ტყებუჩავას ბიჭები დღითი დღე ბრძოლაში იწრთობოდნენ და სასწავლი კიდევ ბევრი დარჩათ. დღეს სასაყვედუროდ არავის მოუბრუნდება ენა. „დინამო" უეფას თასზე ითამაშებს.

გუნდის თამაში მთლიანად ფეხბურთელთა მონდომებასა და ხშირ შემთხვევაში თავგანწირვაზე იყო გათვლილი, პრესინგი და სწრაფი გადაადგილება, ეს იყო ათგზის ჩემპიონთა მთავარი იარაღი. ზოგან გაჭრა ამ ხერხმა, ზოგან...

გუნდის ლიდერი, რა თქმა უნდა, ჩემპიონატის ბომბარდირი ზაზა ზირაქიშვილია, თუმც გიორგი შაშიაშვილს, მიხეილ მაზიაშვილსა და ვახტანგ იაგორაშვილსაც არ უნდა დავუკარგოთ თავიანთი წილი ბრინჯაოს მოპოვებაში.

## ვიტ ჯორჯია

ვიტელებს თითქოს ყველაფერი ჰქონდათ იმისთვის, შარშანდელი მიღწევა გაემეორებინათ, მაგრამ ბოლოს მეოთხეობას და ინტერტოტოს დასჯერდნენ. ვეტერინარებმა საპრიზო ექვსეულში თითქმის არავის დააჩაგვრინეს თავი, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

ჩემპიონატის დასკვნით ეტაპს „ვიტ ჯორჯია" ძალიან დაუძლურებული შეხვდა. გუნდი იტალიური შეკრებიდან გადაღლილი და ხალისდაკარგული დაბრუნდა. ამან არასტაბილურობა გამოიწვია და მნიშვნელოვანი ქულებიც შეიწირა.

თენგიზ კობიაშვილის, გიორგი ყიფიანის, ლევან მელქაძის მონდომება საკმარისი არ აღმოჩნდა. შარშანდელთან შედარებით გუნდმა, შეიძლება ითქვას, გარკვეული რეგრესიც განიცადა, თუმც გარკვეული გამოცდილებაც დააგროვა.

## კოლხეთი და მერანი

გაახალგაზრდავებაო, ტრავმებიო... ამ მიზეზებს ასახელებენ ფოთელთა უკუსვლის პირობად. და მაინც, ჩემთვის გამოუცნობად დარჩა კოლხთა უმოტივაციობა. იყო თამაშები, როცა „კოლხეთმა" მისთვის საკადრისი ფეხბურთი ითამაშა, მაგრამ ასეთი მატჩები ძალიან ცოტა აღმოჩნდა. სხვა შეხვედრებში ფილიას გუნდი უსუსურად გამოიყურებოდა. ასე იცის არასტაბილური შემადგენლობით თამაშმა.

არავინ ელოდა საპრიზო ექვსეულში „მერანის" მოხვედრას. კლუბის თავკაცთა თქმით, სწორედ ეს გახდა მათი უბედურების მიზეზიც. ავჭალელებმა ამის შემდეგ ყველაფერი გვერდზე გადადეს, მხოლოდ თასზე იწყეს ფიქრი და რაც გამოვიდა აქედან, კარგად ვიცით. ისე, ცოდვა გამხელილი სჯობსო, ამბობენ და „მერანმა" დაჩაგრული გუნდის შთაბეჭდილება დატოვა.

## დარჩენილები და დანარჩენები

„ბათუმი" და „სიონი" რომ არ გავარდებოდნენ, ეს მათი სიძლიერისა (კონკურენტებთან შედარებით) და ხასიათის სიმტკიციდანაც ჩანდა. მერე და მერე „გორდას" ბედიც გაირკვა. რუსთაველები საკმაოდ დალაგებულ ფეხბურთს თამაშობდნენ და თავიანთი უპირატესობაც დაამტკიცეს.

„დილა" აქამდე არასდროს ყოფილა ასეთი უნიათო და სუსტი. მხოლოდ თაობათა ცვლის რთული პროცესი როდია შუაში, ჩემი აზრით, ჩავარდნის მიზეზი თავად კლუბის მოუწესრიგებელ სტრუქტურებშია საძიებელი. გორელებს კიდევ ერთი დიდი ბრძოლის გადატანა მოუწევთ, რათა გავარდნას გადარჩნენ.

თსუ გამოუცდელობამ დაალალატა. კლუბის თავკაცებმა უმაღლესში დარჩენა მხოლოდ რეგიონულ ლიგაში ნათამაშევი ბიჭებით გადაწყვიტეს. ეს კი საკმარისი არ აღმოჩნდა. სტუდენტებს პირველი ეტაპის ბირთვი მთლიანად რომ შეენარჩუნებინათ, მაშინ...

„იბერია" ჩემპიონატის დაწყებამდე იყო განწირული. ასე იცის უთავბოლობამ და შინააშლილობამ. გუნდი შინ ვერაფერს აზერხებდა და საკუთარი სახლიდან გამოგდებული რაღას გახდებოდა.

**მამუკა ძგანტალიანი**

## სიმბოლური ნაკრები

ზაზა ზირაქიშვილი — დინამო
ლევან მელქაძე — ვიტ ჯორჯია
გიორგი ყიფიანი — ვიტ ჯორჯია
ზურაბ იონანიძე — ტორპედო
კახა გოგიჩაიშვილი — ლოკომოტივი
ვალტერ გუჩუა — ტორპედო
დავით ძიძიშვილი — ლოკომოტივი
ლევან სილაგაძე — ტორპედო
კახა ცხადაძე — ლოკომოტივი
გიორგი შაშიაშვილი — დინამო
ირაკლი ზოიძე — ტორპედო

გუნდი: ტორპედო

მწვრთნელები: დავით ყიფიანი და რევაზ ძოძუაშვილი

| უმაღლესი ლიგა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ტორპედო | 10 | 6 | 2 | 2 | 15:7 | 8 | 44 | 5 | 4 | 1 | 0 | 12:2 | 10 | 13 | 5 | 2 | 1 | 2 | 3:5 | -2 | 7 |
| 2 ლოკომოტივი | 10 | 3 | 4 | 3 | 8:9 | -1 | 41 | 5 | 2 | 3 | 0 | 7:4 | 3 | 9 | 5 | 1 | 1 | 3 | 1:5 | -4 | 4 |
| 3 დინამო | 10 | 3 | 5 | 2 | 13:9 | 4 | 38 | 5 | 2 | 2 | 1 | 9:5 | 4 | 8 | 5 | 1 | 3 | 1 | 4:4 | 0 | 6 |
| 4 ვიტ ჯორჯია | 10 | 4 | 4 | 2 | 14:9 | 5 | 35 | 5 | 3 | 2 | 0 | 7:1 | 6 | 11 | 5 | 1 | 2 | 2 | 7:8 | -1 | 5 |
| 5 კოლხეთი | 10 | 2 | 2 | 6 | 10:19 | -9 | 24 | 5 | 2 | 1 | 2 | 5:4 | 1 | 7 | 5 | 0 | 1 | 4 | 5:15 | -10 | 1 |
| 6 მერანი | 10 | 1 | 3 | 6 | 2:15 | -13 | 19 | 5 | 2 | 1 | 2 | 2:7 | -5 | 4 | 5 | 0 | 2 | 3 | 0:8 | -8 | 2 |

| უმაღლესი ლიგა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ბათუმი | 10 | 5 | 3 | 2 | 13:7 | 6 | 32 | 5 | 4 | 0 | 1 | 8:2 | 6 | 12 | 5 | 1 | 3 | 1 | 5:5 | 0 | 6 |
| 2 სიონი | 10 | 5 | 2 | 3 | 14:12 | 2 | 27 | 5 | 4 | 1 | 0 | 8:1 | 7 | 13 | 5 | 1 | 1 | 3 | 8:11 | -3 | 4 |
| 3 გორდა | 10 | 5 | 2 | 3 | 16:13 | 3 | 26 | 5 | 4 | 1 | 0 | 13:6 | 7 | 13 | 5 | 2 | 1 | 2 | 6:6 | 0 | 7 |
| 4 დილა | 10 | 5 | 1 | 4 | 19:11 | 8 | 25 | 5 | 4 | 1 | 0 | 15:3 | 12 | 13 | 5 | 1 | 0 | 4 | 4:8 | -4 | 3 |
| 5 თსუ | 10 | 4 | 1 | 5 | 11:17 | -6 | 23 | 5 | 3 | 1 | 1 | 9:4 | 5 | 10 | 5 | 1 | 0 | 4 | 2:13 | -11 | 3 |
| 6 იბერია | 10 | 0 | 1 | 9 | 7:26 | -19 | 3 | 5 | 0 | 1 | 4 | 4:12 | -8 | 1 | 5 | 0 | 0 | 5 | 3:14 | -11 | 0 |

## ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| 21 | ზირაქიშვილი | დინამო |
| 14 | ლ. მელქაძე | ვიტ ჯორჯია |
| 11 | დ. გოდერძიშვილი | მერანი |
| | იონანიძე | ტორპედო |
| 10 | რუსია | ლოკომოტივი |
| | ისიანი | სიონი |
| 9 | გადელია | დინამო |
| | გ. შენგელია | ლოკომოტივი |
| | ყულეჯიშვილი | ბათუმი |
| | გ. ვ. მიქაძე | დინამო |

საქართველოს 12 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
მეორე ეტაპი
საგაზაფხულო ეტაპი
სტატისტიკა

# პასუხი 45 000 ქუთაისელს: ტორპედო მეორედ გაჩემპიონდა

*ჩემპიონს უცქირეს, უქომაგეს, შეეწირნენ.*

*ხუმრობა საქმეა, ზეექვსეულის 30-ივე მატჩს 78 ათასი მაყურებელი დაესწრო, აქედან 45 500-მა კი 5 ქუთაისური შეხვედრა იხილა.*

*ვის ჰყავს უკეთესი თავდასხმა, ვის დაცვა და შუახაზი; ვინ აგებდა ან იგებდა ზედიზედ, ვის გაჰქონდა და ვის — ვერა.*

*საქართველოს მეთორმეტე ჩემპიონატი გუშინწინ მორჩა და დღეს საგაზაფხულო ეტაპის ათივე ტურის დაჯამებულ შედეგებს გთავაზობთ.*

### ჩემპიონატის სტატისტიკა

| | |
|---|---|
| ტური | 10 |
| მატჩი | 30 |
| გოლი | 65 |
| გოლი საშუალოდ მატჩში | 2,16 |
| გოლი საშუალოდ ერთ ტურში | 6,5 |
| მასპინძელთა მოგება | 14 (46%) |
| ფრეები | 10 (33%) |
| სტუმართა მოგება | 5 (19%) |
| საერთო დასწრება | 78 000 |
| საშუალო დასწრება მატჩზე | 2 616 |
| საუკეთესო დასწრება ტურზე | VI: 14 300 |
| მწირი დასწრება ტურზე | VIII: 2 300 |
| უხვგოლიანი ტური | IX: 11 |
| გოლმწირი ტური | X: 1 |

### უხვმაყურებლიანი მატჩები

| № | მატჩი | დასწრება | ტურის № |
|---|---|---|---|
| 1 | ტორპედო — დინამო 1:0 | 13 000 | 6 |
| 2 | ტორპედო — ვიტ ჯორჯია 1:1 | 11 000 | 7 |
| | ტორპედო — ლოკომოტივი 2:0 | 11 000 | 5 |
| 4 | ტორპედო — კოლხეთი 5:1 | 8 000 | 9 |
| 5 | კოლხეთი — ტორპედო 0:1 | 4 000 | 4 |
| 6 | ვიტ ჯორჯია — დინამო 0:0 | 3 000 | 10 |
| 7 | ტორპედო — მერანი 3:0 | 2 500 | 3 |
| | მერანი — დინამო 0:0 | 2 500 | 2 |

### უხვგოლიანი მეოთხედი

| № | | დროის მონაკვეთი | | გოლი | % |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | VI მეოთხედი | 75-90 | წუთი | 14 | 22 |
| 2 | III მეოთხედი | 31-45 | წუთი | 13 | 20 |
| 3 | IV მეოთხედი | 46-60 | წუთი | 12 | 19 |
| 4 | II მეოთხედი | 16-30 | წუთი | 9 | 14 |
| 5 | V მეოთხედი | 61-75 | წუთი | 9 | 14 |
| 6 | I მეოთხედი | 00-15 | წუთი | 5 | 8 |

### ამპლუათა შედეგიანობა

| | დაცვა | | შუახაზი | | თავდასხმა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გუნდი | გოლი | % | გოლი | % | გოლი | % |
| დინამო | 0 | 0 | 4 | 34 | 8 | 66 |
| ვიტ ჯორჯია | 1 | 8 | 2 | 14 | 11 | 78 |
| კოლხეთი | 0 | 0 | 6 | 60 | 4 | 40 |
| ლოკომოტივი | 2 | 25 | 4 | 50 | 2 | 25 |
| მერანი | 0 | 0 | 1 | 50 | 1 | 50 |
| ტორპედო | 2 | 14 | 4 | 28 | 8 | 57 |

**შენიშვნა** სერიათა ცხრილებში დ: დასრულებული, მ: მიმდინარე

### მოგებათა სერია

| № | გუნდი | მოგება | სტატუსი | ტურიდან | ტურამდე |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ტორპედო | 4 | დ | 3 | 6 |
| 2 | დინამო | 2 | დ | 7 | 8 |
| | კოლხეთი | 2 | დ | 1 | 2 |
| | ლოკომოტივი | 2 | მ | 9 | 10 |
| 5 | მერანი | 1 | დ | 6 | 6 |
| | ვიტ ჯორჯია | 1 | დ | 9 | 9 |

### უფრეო სერია

| № | გუნდი | უფრეოდ | სტატუსი | ტურიდან | ტურამდე |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | მერანი | [illegible] | დ | 3 | 9 |
| 2 | კოლხეთი | 6 | დ | 1 | 6 |
| 3 | ტორპედო | 5 | დ | 2 | 6 |
| 4 | დინამო | 4 | დ | 6 | 9 |
| | ვიტ ჯორჯია | 4 | დ | 1 | 4 |
| 6 | ლოკომოტივი | 2 | მ | 9 | 10 |

### ფრეთა სერია

| № | გუნდი | ფრე | სტატუსი | ტურიდან | ტურამდე |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო | 2 | დ | 4 | 5 |
| | ლოკომოტივი | 2 | დ | 7 | 8 |
| | მერანი | 2 | დ | 1 | 2 |
| | ვიტ ჯორჯია | 2 | დ | 7 | 8 |
| 5 | კოლხეთი | 1 | მ | 10 | 10 |
| | ტორპედო | 1 | დ | 7 | 7 |

### წაუგებელი სერია

| № | გუნდი | არწაგება | სტატუსი | ტურიდან | ტურამდე |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ტორპედო | 7 | დ | 3 | 9 |
| | ვიტ ჯორჯია | 7 | დ | 4 | 10 |
| 3 | დინამო | 5 | დ | 1 | 5 |
| 4 | ლოკომოტივი | 4 | მ | 7 | 10 |
| 5 | კოლხეთი | 2 | დ | 1 | 2 |
| | მერანი | 2 | დ | 1 | 2 |



ვერცხლ-ბრინჯაოს წლევანდელი პატრონი „დინამო“ — „ლოკომოტივის“ მატჩში გაირკვა, რომელიც 0:1 მორჩა

ბაჩანა [illegible] ფოტო

### წაგებათა სერია

| № | გუნდი | წაგება | სტატუსი | ტურიდან | ტურამდე |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | კოლხეთი | 4 | დ | 3 | 6 |
| 2 | მერანი | 3 | დ | 7 | 9 |
| 3 | ლოკომოტივი | 2 | დ | 5 | 6 |
| 4 | დინამო | 1 | დ | 9 | 9 |
| | ტორპედო | 1 | მ | 10 | 10 |
| | ვიტ ჯორჯია | 1 | დ | 3 | 3 |

### უგოლო სერია

| № | გუნდი | უგოლოდ | სტატუსი | ტურიდან | ტურამდე |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | მერანი | 5 | დ | 1 | 5 |
| 2 | დინამო | 2 | მ | 9 | 10 |
| | ლოკომოტივი | 2 | დ | 5 | 6 |
| | კოლხეთი | 2 | დ | 3 | 4 |
| 5 | ტორპედო | 1 | მ | 10 | 10 |
| | ვიტ ჯორჯია | 1 | მ | 10 | 10 |

### მოუგებელი სერია

| № | გუნდი | ვერმოგება | სტატუსი | ტურიდან | ტურამდე |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | კოლხეთი | 8 | მ | 3 | 10 |
| 2 | მერანი | 5 | დ | 1 | 5 |
| | ლოკომოტივი | 5 | დ | 4 | 8 |
| 4 | დინამო | 3 | დ | 4 | 6 |
| 5 | ტორპედო | 2 | დ | 1 | 2 |
| | ვიტ ჯორჯია | 2 | დ | 7 | 8 |

### მშრალი სერია

| № | გუნდი | მშრალად | სტატუსი | ტურიდან | ტურამდე |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ტორპედო | 4 | დ | 3 | 6 |
| 2 | ლოკომოტივი | 3 | მ | 8 | 10 |
| 3 | მერანი | 2 | დ | 1 | 2 |
| | დინამო | 1 | მ | 10 | 10 |
| 5 | კოლხეთი | 1 | მ | 10 | 10 |
| | ვიტ ჯორჯია | 1 | მ | 10 | 10 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# Bild Dank Kahn: Bayern auf Europas Thron!

# მადლობა კანს: ბაიერნი ევროპის მწვერვალზეა!





**უჩვეულო** არაფერი მომხდარა — ზღვა ხალხმა მიუნხენის ქუჩები გაავსო, ფეხბურთთან მწყრალად მყოფი მოქალაქეები მთელი ღამე არ დააძინა, ბარმენებს საქმე გაუჩინა. ხალხი გამთენიისას აეროპორტისკენ დაიძრა — თუ ეს ამბავი უცნაურად მოგეჩვენათ, დიდი გამარჯვების ფასი არ გცოდნიათ.

ბავარიის მიწაზე ფეხდადგმულ ფეხბურთელებს ქომაგებმა მაშინვე უზარმაზარი თასი შეაგებეს — ნაქები ბავარიული ლუდით სავსე და ზოგიერთს სულმა წასძლია, მილანიდან ჩამოტანილი თასი იმ ლუდით სავსეში გაცვალა და გადაჰკრა.

ახლა ბაიერნელებს კიდევ ერთი მგზავრობა ელით, ბერლინში გერმანიის კანცლერ გერჰარდ შრიოდერთან წვეულებაზე არიან მიწვეულნი.

იქამადე კი ისინი გამარჯვების პირველი საათებით ტკბებიან და ოლივერ კანს ადიდებენ, რომელმაც პირველი პენალტი მესამე წუთზე გაუშვა და ორი საათის მერე სამი მოიგერია. რატომ არაა გმირი?

„ბედნიერი ვარ, თასი მიუნხენში რომ დავაბრუნეთ — ამაყად განაცხადა ოტმარ ჰიცფელდმა — ჩემპიონთა ლიგის მოგებას ვერც ერთი სხვა ჯილდო ვერ შეედრება. ეს კი უპირველესად ოლივერ კანის დამსახურებაა. უსაზღვროდ მადლიერნი ვართ მისი".

ფრანც ბეკენბაუერი, რომელიც სხვათა მონაპოვარის მითვისებაშია შენიშნული, მეკარის შეფასებაში გულუხვი იყო: „კანმა ფანტასტიკურად ითამაშა. სწორედ ისაა ჩვენი დღევანდელი ზეიმის მიზეზი და შემოქმედი". მეჰმეთ შოლი, ფეხბურთელი, რომლის გაფუჭებულმა პენალტმაც საქმე მატჩის შემდგომ სერიამდე მიიყვანა: „ჩვენნაირი მეკარე არავის ჰყავს. მან ჩვენთვის თასი მოიგო".

სამუელ კუფერი: „ღმერთის გარეშე არაფერი ხდება".

პაულო სერჟიომ კი ლამაზი ფეხბურთის ტრფიალებს შეუტია: „ამბობენ, რომ „ბაიერნი" ლამაზ ფეხბურთს არ თამაშობს. მიმიფურთხებია. ორი წლის წინ „მანჩესტერთან" ბევრად სანახაობრივად ვითამაშეთ და რა მოვიგეთ? მთავარი გამარჯვებაა და როგორ მოვიგებთ, სულაც არ მაინტერესებს". შევნიშნოთ, კანს რომ არ ეყოჩაღა, სერჟიოს გაფუჭებული პენალტი შესაძლოა, საბედისწერო გამხდარიყო.

ამ დროს ვალენსიაში... თუმცა ვალენსიაში არაფერი ხდებოდა. ცხადია, სასიხარულოს ვგულისხმობთ.

ექტორ რაულ კუპერს, ზედიზედ სამგზის დამარცხებულ ფინალისტს, დანა პირს არ უხსნიდა: „ისევ არ გაგვიმართლა. ძალიან მიჭირს ლაპარაკი, მაგრამ ვალდებულები ვართ, მომხდარი ღირსეულად გადავიტანოთ და სულით არ დავეცეთ. გამარჯვებისთვის ყველაფერი ვილონეთ, მაგრამ მეტოქემაც თავი დადო და... რა ვუყოთ, ასეთია ფეხბურთი. ახლა ისღა დაგვრჩენია, ჩემპიონატს მივხედოთ და გაისად ისევ ლიგაში ვითამაშოთ".

„ასეთ საზიზღარ ხასიათზე არასდროს ვყოფილვარ" — დაიჩივლა ზლატკო ზაჰოვიჩმა. რა გასაკვირია, სლოვენიელზე ცუდად, მგონი, არავის უთამაშია.

ამადეო კარბონი, ვისმა ხელმაც გერმანელებს ანგარიში გაათანაბრებინა: „გამაგებინეთ, რატომ დანიშნა მსაჯმა პენალტი. ბურთისთვის ვიბრძოდი, როცა იანკერმა უკნიდან ხელში ჩამცხო და უნებურად შევეხე ბურთს. რას გავხდებოდი, ასკილოიანი კაცი რომ დამაწვა".

მიუნხენში კი ზეიმი გრძელდება, რომლის სულისჩამდგმელმა ოლივერ კანმა განაცხადა: არანორმალურად ვნერვიულობდი, ასე დაძაბული არასდროს ვყოფილვარ. ის პენალტები იღბალმა, ინტუიციამ და ღვთის დახმარებამ ამალებინა".

**გიორგი დარჯანია**










# ჰიცფელდი ჰაპელს გაუტოლდა



„**დიდებულია**, თასი მიუნხენში მიგვაქვს. ჩემპიონთა ლიგა ხომ კლუბისთვის განსაკუთრებული რამ არის" — ხარობდა „ვალენსიასთან" მოგების შემდეგ ბავარიელთა მწვრთნელი ოტმარ ჰიცფელდი.

სასიხარულო და საამაყო მას ნამდვილად აქვს. ყველა: სპეციალისტი, ფეხბურთელი, ჟურნალისტი თუ გულშემატკივარი აღიარებს, რომ „ბაიერნის" წარმატება მწვრთნელის გამჭრიახობის, მისი ტაქტიკური სიბრძნის ნაყოფია.

საინტერესოა, რომ ჩემპიონთა ლიგის (თასის) ისტორიაში ჰიცფელდი ავსტრიელი ერნსტ ჰაპელის მერე მეორე მწვრთნელია, ვისაც ევროპის ყველაზე პრესტიჟული ჯილდო ორ სხვადასხვა გუნდში მოუგია. პირველად ეს ოთხი წლის წინ მოხდა, როცა ჰიცფელდის დდამოძღვრილმა დორტმუნდის „ბორუსიამ" ფინალში „იუვენტუსს" 3:1 მოუგო.

საერთოდ, თასის არსებობის 46-წლიან ისტორიაში სულ ათი მწვრთნელი ყოფილა, ვისაც ტურნირში ორ-ორჯერ გაუმარჯვია, ოღონდ ერთ გუნდთან: ვილიალონგა („რეალი" — 1956, 57), კარნილია („რეალი" — 58, 59), მუნიოსი („რეალი" — 60, 66), გუტმანი („ბენფიკა" — 61, 62), როკო („მილანი" — 63, 69), ერერა („ინტერი" — 64, 65), კოვაჩი („აიაქსი" — 72, 73), კრამერი („ბაიერნი" — 75, 76), კლაფი („ნოტინგემი" — 79, 80) და საკი („მილანი" — 89, 90). ლეგენდარულ ბობ პეისლის კი ლივერპულში თასი სულაც სამჯერ ჩაუტანია (77, 78, 81).

ორ სხვადასხვა გუნდთან კი ჰიცფილდამდე მხოლოდ ჰაპელს უხეირია. პირველად 1970-ში როტერდამის „ფეიენოორდთან" ერთად. ფინალში მათ გლაზგოს „სელტიკს" მოუგეს 2:1. ეს იყო ჰოლანდიური ფეხბურთის პირველი დიდი გამარჯვება, ისრაელი, იანსენი, ვან ჰანეგემი და კინდვალი კი იმ გუნდის ვარსკვლავები იყვნენ.

13 წლის შემდეგ ჰაპელმა უკვე დასავლეთგერმანულ „ჰამბურგთან" ერთად იზეიმა. გადამწყვეტ მატჩში მათ იტალიის ნაკრების ლეგენდარული მწვრთნელის, ჯოვანი ტრაპატონის მრისხანე „იუვენტუსს" მოუგეს ფელიქს მაგათის გოლით. იქვე იყვნენ კალცი, იაკობსი და ჰრუბეში. სხვათა შორის, ამ გათამაშების პირველ მეოთხედფინალური მატჩი ჰაპელის გუნდმა თბილისში ჩაატარა და კიევის „დინამოს" 3:0 მოუგო.

„ჰამბურგის ძალა შეტევაშია! მადლობა ჰაპელს, რომ ასეთ ფეხბურთს ქადაგებს" — წერდა „კიკერი". ჰიცფილდის გუნდს კი კონტრშეტევებზე თამაში ურჩევნია, თუმცა ამასაც ჩინებულად აკეთებს.

**სოლომონ გულისაშვილი**

## თამაშგარე

| | თამაშგარე | ნათამაშევი დრო (წთ) | საშუალო ერთ მატჩში | გუნდი |
|---|---|---|---|---|
| ტიერი ანრი | 29 | 1180 | 2.21 | არსენალი |
| ალან სმიტი | 29 | 1248 | 2.09 | ლიდსი |
| სიმონე ინძაგი | 24 | 535 | 4.04 | ლაციო |
| მარიო ჟარდელი | 24 | 1240 | 1.74 | გალათასარაი |
| კარსტენ იანკერი | 23 | 845 | 2.45 | ბაიერნი |
| კლაუდიო ლოპესი | 22 | 464 | 4.27 | ლაციო |
| ანდრეი შევჩენკო | 22 | 1080 | 1.83 | მილანი |
| სონი ანდერსონი | 21 | 968 | 1.95 | ლიონი |
| ჯოვანი ელბერი | 21 | 1034 | 1.83 | ბაიერნი |
| ნიკოლა ანელკა | 19 | 734 | 2.33 | პსჟ |

## კარში დარტყმა

| | დარტყმა | ნათამაშევი დრო (წთ) | საშუალო ერთ მატჩში | გუნდი |
|---|---|---|---|---|
| ტიერი ანრი | 26 | 1180 | 1.98 | არსენალი |
| მეჰმეთ შოლი | 26 | 1207 | 1.94 | ბაიერნი |
| ანდრეი შევჩენკო | 25 | 1080 | 2.08 | მილანი |
| ჯალმინია | 23 | 749 | 2.76 | დეპორტივო |
| იონ კარეუ | 22 | 1081 | 1.83 | ვალენსია |
| ჯოვანი ელბერი | 21 | 1034 | 1.83 | ბაიერნი |
| გაისკა მენდიეტა | 19 | 1232 | 1.39 | ვალენსია |
| ლი ბოიერი | 18 | 1170 | 1.38 | ლიდსი |
| ლუიშ ფიგუ | 18 | 1205 | 1.34 | რეალი |
| ხუან სანჩესი | 18 | 1018 | 1.59 | ვალენსია |

## კარისკენ დარტყმა

| | დარტყმა | ნათამაშევი დრო (წთ) | საშუალო ერთ მატჩში | გუნდი |
|---|---|---|---|---|
| ტიერი ანრი | 22 | 1180 | 1.68 | არსენალი |
| იან კოლერი | 20 | 965 | 1.87 | ანდერლეხტი |
| მარიო ჟარდელი | 18 | 1240 | 1.31 | გალათასარაი |
| სტივ მარლე | 18 | 969 | 1.67 | ლიონი |
| ტომაშ რაძინსკი | 18 | 1021 | 1.59 | ანდერლეხტი |
| მეჰმეთ შოლი | 18 | 1207 | 1.34 | ბაიერნი |
| გაისკა მენდიეტა | 17 | 1232 | 1.24 | ვალენსია |
| რობერტო კარლოსი | 17 | 1216 | 1.26 | რეალი |
| ლუიშ ფიგუ | 16 | 1205 | 1.2 | რეალი |
| გეორგე ჰაჯი | 16 | 775 | 1.86 | გალათასარაი |

## ბომბარდირები

| | | ნათამაშევი დრო (წთ) | საშუალო ერთ მატჩში | გუნდი |
|---|---|---|---|---|
| რაული | 7 | 995 | 0.63 | რეალი |
| დიეგო სიმეონე | 6 | 505 | 1.07 | ლაციო |
| რივალდო | 6 | 523 | 1.03 | ბარსელონა |
| ჯოვანი ელბერი | 6 | 1034 | 0.52 | ბაიერნი |
| პოლ სქოულზი | 6 | 1042 | 0.52 | მანჩესტერი |
| ლი ბოიერი | 6 | 1170 | 0.46 | ლიდსი |
| ივან ელგერა | 6 | 1232 | 0.44 | რეალი |
| მარიო ჟარდელი | 6 | 1240 | 0.44 | გალათასარაი |
| გიორგი დემეტრაძე | 2 | - | - | დინამო კიევი |
| კახა კალაძე | 1 | - | - | დინამო კიევი |

| | ბაიერნი | ვალენსია | რეალი | ლიდსი |
|---|---|---|---|---|
| კარისკენ დარტყმა | 6.53(111) | 6.59(112) | 6(96) | 4.94(79) |
| კარში დარტყმა | 6.88(117) | 6.41(109) | 6.19(99) | 5.63(90) |
| ჯარიმა | 15.59(265) | 20.47(348) | 14.13(226) | 20.31(325) |
| კუთხური | 4.59(78) | 4.65(79) | 6.19(99) | 5.25(84) |
| თამაშგარე | 3.71(63) | 3.76(64) | 3.63(58) | 4.06(65) |
| ბურთის ფლობა | 28წთ (483წთ) | 27წთ (462წთ) | 29წთ (470წთ) | 23წთ (368წთ) |
| ბურთის ფლობა | 52% | 51% | 54% | 45% |
| გატანილი გოლი | 1.71(29) | 1.59(27) | 2.19(35) | 1.5(24) |
| გაშვებული გოლი | 0.94(16) | 0.82(14) | 1.44(23) | 1.31(21) |
| გაფრთხილება | 1.88(32) | 2.18(37) | 1.56(25) | 1.56(25) |
| გაძევება | 0.06(1) | 0.(0) | 0.(0) | 0.06(1) |

| | | | |
|---|---|---|---|
| 1-დან მე-15 წუთამდე | 57 გოლი | 61-დან 75-ე წუთამდე | 69 გოლი |
| 16-დან 30-ე წუთამდე | 61 გოლი | 76-დან 90-ე წუთამდე | 85 გოლი |
| 31-დან 45-ე წუთამდე | 81 გოლი | მეორე ტაიმის ნამატებულ დროში | 21 გოლი |
| პირველი ტაიმის ნამატებულ დროში | 9 გოლი | პირველ დამატებით ტაიმში | 0 გოლი |
| 46-დან მე-60 წუთამდე | 66 გოლი | მეორე დამატებით ტაიმში | 0 გოლი |
| | | სულ | 449 გოლი |

## ვის უფრო ეუხეშნენ

| | ჯარიმა | ნათამაშევი დრო (წთ) | საშუალო ერთ მატჩში | გუნდი |
|---|---|---|---|---|
| გიორგიოს კარაგუნისი | 66 | 982 | 6.05 | პანათინაიკოსი |
| გაისკა მენდიეტა | 55 | 1232 | 4.02 | ვალენსია |
| ალან სმიტი | 55 | 1248 | 3.97 | ლიდსი |
| ლუიშ ფიგუ | 47 | 1205 | 3.51 | რეალი |
| ჰასან სალიჰამიჯიჩი | 43 | 1324 | 2.92 | ბაიერნი |
| ანდრეი შევჩენკო | 38 | 1080 | 3.17 | მილანი |
| მარკ ვიდუკა | 37 | 1225 | 2.72 | ლიდსი |
| იან კოლერი | 36 | 965 | 3.36 | ანდერლეხტი |
| პატრიკ ვიეირა | 35 | 1080 | 2.92 | არსენალი |
| ზე ელიასი | 35 | 521 | 6.05 | ოლიმპიაკოსი |

## დაჯარიმდნენ

| | ჯარიმა | ნათამაშევი დრო (წთ) | საშუალო ერთ მატჩში | გუნდი |
|---|---|---|---|---|
| ალან სმიტი | 46 | 1248 | 3.32 | ლიდსი |
| ვიქტორ ბულატოვი | 40 | 1080 | 3.33 | სპარტაკი |
| ოლივიე დაკური | 40 | 1120 | 3.21 | ლიდსი |
| ტიერი ანრი | 40 | 1180 | 3.05 | არსენალი |
| გაისკა მენდიეტა | 39 | 1232 | 2.85 | ვალენსია |
| ამადეო კარბონი | 36 | 1110 | 2.92 | ვალენსია |
| კარსტენ იანკერი | 34 | 845 | 3.62 | ბაიერნი |
| ივ ვანდერეგე | 32 | 884 | 3.26 | ანდერლეხტი |
| იონ კარეუ | 31 | 1081 | 2.58 | ვალენსია |
| გლენ დე ბოეკი | 31 | 958 | 2.91 | ანდერლეხტი |

## საგოლე პასი

| | პასი | ნათამაშევი დრო (წთ) | საშუალო ერთ მატჩში | გუნდი |
|---|---|---|---|---|
| ლუიშ ფიგუ | 8 | 1205 | 0.6 | რეალი |
| გაისკა მენდიეტა | 7 | 1232 | 0.51 | ვალენსია |
| იან ჰარტი | 6 | 1350 | 0.4 | ლიდსი |
| დემეტრიო ალბერტინი | 4 | 810 | 0.44 | მილანი |
| დევიდ ბექემი | 4 | 987 | 0.36 | მანჩესტერი |
| ჯოვანი ელბერი | 4 | 1034 | 0.35 | ბაიერნი |
| იან კოლერი | 4 | 965 | 0.37 | ანდერლეხტი |
| პაველ ნედვედი | 4 | 889 | 0.4 | ლაციო |
| ლორან რობერი | 4 | 804 | 0.45 | პსჟ |
| იან დერეკ სორენსენი | 4 | 540 | 0.67 | რუსენბორგი |

## გააძევეს

| | რაოდენობა | ნათამაშევი დრო (წთ) | გუნდი |
|---|---|---|---|
| ზინედინ ზიდანი | 2 | 275 | იუვენტუსი |
| ვედათ ინქეფე | 1 | 165 | გალათასარაი |
| დარკო კოვაჩევიჩი | 1 | 197 | იუვენტუსი |
| უსმან დაბო | 1 | 234 | მონაკო |
| ფრანკ ჟურიეტი | 1 | 239 | მონაკო |
| არიან ებინგე | 1 | 247 | ჰერენვენი |
| კევინ ჰოფლანდი | 1 | 349 | პსვ |
| ჟოაუ პინტუ | 1 | 350 | სპორტინგი |
| სერგეი პოპოვი | 1 | 388 | შახტარი |
| ედგარ დავიდსი | 1 | 392 | იუვენტუსი |
| მარტინ ჯეტუ | 1 | 406 | მონაკო |
| ერიკ ჰოფტუნი | 1 | 431 | რუსენბორგი |
| არტურ ნუმანი | 1 | 444 | რეინჯერსი |
| ზდენეკ გრიგერა | 1 | 446 | სპარტა |
| ედვინ ვან დერ სარი | 1 | 505 | იუვენტუსი |
| ჟოზე ვიტორ როკე ჟუნიორი | 1 | 581 | მილანი |
| პიერ დიუკრო | 1 | 606 | პსჟ |
| ემრე ბელოზოღლუ | 1 | 636 | გალათასარაი |
| სუათ ქაია | 1 | 661 | გალათასარაი |
| დეიან სტანკოვიჩი | 1 | 663 | ლაციო |
| მარკ ვივიენ ფოე | 1 | 667 | ლიონი |
| გეორგე ჰაჯი | 1 | 775 | გალათასარაი |
| ჟილბერ პრილასნიგი | 1 | 876 | შტურმი |
| სამუელ კუფური | 1 | 1102 | ბაიერნი |
| ალან სმიტი | 1 | 1248 | ლიდსი |

## გააფრთხილეს

| | რაოდენობა | ნათამაშევი დრო (წთ) | გუნდი |
|---|---|---|---|
| დმიტრი ანანკო | 5 | 807 | სპარტაკი |
| რუბენ ბარახა | 5 | 1289 | ვალენსია |
| შტეფან ეფენბერგი | 5 | 901 | ბაიერნი |
| მარკ ვივიენ ფოე | 5 | 667 | ლიონი |
| ივან ელგერა | 5 | 1232 | რეალი |
| მარტინ კიოუნი | 5 | 810 | არსენალი |
| ბიქსენტ ლიზარაზუ | 5 | 809 | ბაიერნი |
| გაისკა მენდიეტა | 5 | 1232 | ვალენსია |
| ჰასან სალიჰამიჯიჩი | 5 | 1324 | ბაიერნი |
| რობერტო ბარონიო | 4 | 366 | ლაციო |

## პენალტების სერიით დასრულებული ევროფინალები

| | | | |
|---|---|---|---|
| 1976 | ევროპის ჩემპიონატი | ჩეხოსლოვაკია — გფრ | 2:2 (პენ. 5:3) |
| 1980 | თასების მფლობელთა თასი | ვალენსია (ესპანეთი) — არსენალი (ინგლისი) | 0:0 (პენ. 5:4) |
| 1984 | ჩემპიონთა თასი | ლივერპული (ინგლისი) — რომა (იტალია) | 1:1 (პენ. 4:2) |
| 1984 | უეფას თასი | ტოტენჰემი (ინგლისი) — ანდერლეხტი (ბელგია) | 2:2 (პენ. 4:3) |
| 1986 | ჩემპიონთა თასი | სტიაუა (რუმინეთი) — ბარსელონა (ესპანეთი) | 0:0 (პენ. 2:0) |
| 1988 | ჩემპიონთა თასი | პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია) — ბენფიკა (პორტუგალია) | 0:0 (პენ. 6:5) |
| 1988 | უეფას თასი | ბაიერი (ლევერკუზენი, გფრ) — ესპანიოლი (ესპანეთი) | 3:3 (პენ. 3:2) |
| 1991 | ჩემპიონთა თასი | ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) — მარსელი (საფრანგეთი) | 0:0 (პენ. 5:3) |
| 1994 | მსოფლიოს ჩემპიონატი | ბრაზილია — იტალია | 0:0 (პენ. 3:2) |
| 1995 | კოპა ამერიკა | ურუგვაი — ბრაზილია | 1:1 (პენ. 5:3) |
| 1996 | ჩემპიონთა ლიგა | იუვენტუსი (იტალია) — აიაქსი (ჰოლანდია) | 1:1 (პენ. 4:2) |
| 1997 | უეფას თასი | შალკე (გერმანია) — ინტერი (იტალია) | 1:1 (პენ. 4:1) |
| 2000 | აფრიკის ეროვნებათა თასი | კამერუნი — ნიგერია | 0:0 (პენ. 4:3) |
| 2000 | უეფას თასი | გალათასარაი (თურქეთი) — არსენალი (ინგლისი) | 0:0 (პენ. 4:1) |
| 2001 | ჩემპიონთა ლიგა | ბაიერნი (გერმანია) — ვალენსია (ესპანეთი) | 1:1 (პენ. 5:4) |

# რაღაც ხდება! ეშმაკთა საქმე ეშმაკმა იცის


დევიდ ბექემი


სტივ მაკლარენი

„სტივ მაკლარენი ჩინებული მწვრთნელია და გვსურს, რომ ის ჩვენთან დარჩეს, თუმცა თუ თავისი კარიერისთვის საჭიროდ სხვა კლუბში გადასვლას მიიჩნევს, ღმერთმა ხელი მოუმართოს“ — ეს დევიდ ბექემმა გუშინწინ, ინგლისის ნაკრების საწვრთნელ ბაზაზე გამართულ პრესკონფერენციაზე თქვა, რომელზეც გუნდის კაპიტანი ახალი, მოჰიკანის სტილის ვარცხნილობით წარსდგა. გუშინ ალექს ფერგიუსონის თანაშემწე სტივ მაკლარენი „მიდლსბროს“ გენერალურ მენეჯერობას დასთანხმდა. არცაა გასაკვირ — „იუნაიტედში“ მას ნათლად განუმარტეს, რომ ფერგიუსონის მემკვიდრე ის ნამდვილად ვერ გახდებოდა.

მოკლედ, რაღაც ხდება „წითელ ეშმაკუნებში“ ანუ „მანჩესტერ იუნაიტედში“: სერ ალექსის საკითხი ჰაერშია გამოკიდებული, მისი შემცვლელისა — მით უმეტეს, წამყვანი მოთამაშეები კი ახალ კონტრაქტებს ითხოვენ. შექმნილ ვითარებას ნათელს არც ბექემის ქვემოთმოყვანილი სიტყვები მოჰფენს, თუმცა სიტუაციაში მეტ-ნაკლებად გასარკვევად ამაზე კომპეტენტურს ძნელად თუ იპოვის კაცი.

მაშ ასე, ბექემი, ვისაც მიმდინარე კონტრაქტი კლუბთან ორი წლის შემდეგ უმთავრდება, ამბობს:

„ახალ კონტრაქტზე საუბარი 12 დღის წინ დავიწყეთ, თუმცა ჯერ ანაზღაურების საკითხს არ მივმდგომივართ. სიმართლე გითხრათ, არსად მეჩქარება — კიდევ ორი წელი აქ უნდა ვიყო, თუ არ გამყიდეს, რაც ნამდვილად არ მსურს. ვითხოვ 125 ათას გირვანქას კვირაში, თუმცა ხელმძღვანელობისთვის, ვიმეორებ, ეს ჯერ არ მითქვამს. ასევე ახალ კონტრაქტს ელიან სხვა მოთამაშეებიც. ყოველ შემთხვევაში, ეს ამბავი მომავალ ზაფხულამდე უნდა მოგვარდეს, თორემ მერე თავისუფალი აგენტობის პრობლემა დადგება“.

„ძალიან მაინტერესებს, ვინ იქნება ფერგიუსონის შემცვლელი, მაგრამ არავინ მეუბნება. სერ ალექსს მომავალ წელს კონტრაქტი უმთავრდება და არ ვიცი, რას გადაწყვეტს. ძალიან მეწყინება, თუ კლუბში არ დარჩება. ის მეტად ძლიერი პიროვნებაა და ჩვენზე უდიდესი გავლენა აქვს. ფერგიუსონის უბრალოდ ყოფნაც კი კლუბს დიდად წაადგება“;

„ვინც უნდა იყოს, სერ ალექსის ნებისმიერ შემცვლელს ძალიან გაუჭირდება. ფეხბურთელების უმრავლესობა ერთად გავიზარდეთ და რაც თავი გვახსოვს, ფერგიუსონია ჩვენი მწვრთნელი. „მანჩესტერ იუნაიტედი“ კარგი, მაგრამ დახურული გუნდია ანუ უჩვეულო ერთობა გვახასიათებს. დიდი შეცდომა იქნება ამ ერთობის დარღვევა. არა, არ ვფიქრობ, რომ ამას ვინმე აპირებდეს — უბრალოდ, გაფთრხილებისთვის ვამბობ“;

„ხალხი ამბობს, ყველაფერი „ბაიერნთან“ წაგების მერე გაბრაზებული როი კინის გამონათქვამებმა გამოიწვიაო. დიახ, თქვა როიმ, აქ ბევრს თავს გაუვიდაო, მაგრამ სანამ ამას ჟურნალისტებს ეტყოდა, იგივე პირში მოგვახალა. ცხადია, ყველას ჩვენი აზრი გვაქვს, კაპიტანს კი ხმამაღლა ლაპარაკიც უყვარს. მერე რამ მოხდა? არასდროს მომიბრუნდება ენა, ამის გამო როიზე რამე ცუდი ვთქვა. ის ბევრ რამეში მართალია, თანაც შეუცვლელი მოთამაშეა“;

„ვწუხვარ, რომ სეზონი ასე ცუდად დავამთავრეთ. არ აგვეწყო საქმე ევროპაში, პრემიერლიგა კი 6 ტურით ადრე მოვიგეთ და დარჩენილ მატჩებში რაღა უნდა გვექნა? მართლაც ძნელია ბრძოლა, როცა ასე იოლად იმარჯვებ, მაგრამ ქულა-ქულაში სიარულს და დაძაბულობას ისევ ამას ვარჩევდი. ეგებ, შემდეგ წელს 12 ტურით ადრე მოვიგოთ ჩემპიონატი. ისე, ამ სეზონის წინაც მთავარ ამოცანად კლუბის თავკაცობამ სწორედ პრემიერლიგაში გამარჯვება დაგვისახა, რაც შევასრულეთ კიდეც“;

„10 წელია „იუნაიტედში“ ვარ და თუ პირობებს შემისრულებენ, მთელ კარიერას აქ გავატარებ. ყოველ შემთხვევაში, სადაც არ უნდა წავიდე, ყოველთვის ამ კლუბის ქომაგი დავრჩები“.

აი, ამას ამბობს დევიდ ბექემი, თუმცა ზრახვასა და ხმამაღლა წარმოთქმულ სიტყვებს შორის რა კავშირია, ძნელი მისახვედრია. ცხადი მხოლოდ ერთი რამაა — „მანჩესტერ იუნაიტედს“ გარდატეხის ხანა უდგას და მის თავკაცთა მიერ მიღებული ყოველი გადაწყვეტილება არა მხოლოდ კლუბის მიმდინარე საქმეებს, არამედ მსოფლიოს უმდიდრესი საფეხბურთო ორგანიზაციის მომავალსაც განაპირობებს.

...ჯერჯერობით კი მხოლოდ სტივ მაკლარენი წავიდა.

**გიგა ძოგახიძე**

# კიგანმა საქმე იშოვა

## ნაკრების ყოფილი მწვრთნელი პირველ დივიზიონში დასაქმდა

**რა, ვეა?** — ლიბერიელი ფეხბურთელის „მანჩესტერ სიტის“ მწვრთნელად შესაძლო დანიშვნის ცნობამ სწორედ რომ გაკვირვება გამოიწვია.

გუშინ კი ყველაფერი დალაგდა — ორშაბათს მოხსნილი ჯო როილის პოსტი კევინ კიგანმა დაიკავა. კიგანი ბოლო ოცდაათ წელიწადში მანჩესტერელთა მეცხრამეტე მწვრთნელი გახდა.

„კევინს „მეინ როუდზე“ სიხარულით ველით და ვფიქრობთ, მისი გამოცდილება და კლუბის ამბიციები კარგად შეერწყმება ერთმანეთს, რაც მომავალში დიდი წარმატებების საწინდარი გახდება“ — თქვა პრესკონფერენციაზე „სიტის“ თავმჯდომარე დევიდ ბერშტეინმა.

თავმჯდომარის ამ განცხადებით და ხუთწლიან კონტრაქტზე ხელმოწერით კიგანის რვათვიანი უმუშევრობის პერიოდი დასრულდა. გავიხსენოთ, რომ გაშარშან ოქტომბერში ინგლისელთა მარცხი გერმანიასთან „უემბლიზე“ კიგანისთვის საბედისწერო გამოდგა.

ახლა ამ უიღბლომ „მანჩესტერ სიტი“ პრემიერლიგაში უნდა დააბრუნოს.



## კევინ კიგანი

დაიბადა იორკშირში 1951 წლის 14 თებერვალს.

1968 — ჩაირიცხა „სკანთორპ იუნაიტედის“ შემადგენლობაში.

1971 — „ლივერპულმა“ მის სანაცვლოდ 35000 გირვანქა (49.480 დოლარი) გაიღო.

1972 — პირველად მოირგო ეროვნული გუნდის მაისურა კარდიფში უელსის ნაკრებთან შეხვედრაში.

1977 — „ჰამბურგმა“ მის სანაცვლოდ „ლივერპულს“ 500000 გირვანქა (706.900 დოლაი) გადაუხადა.

1980 — 420000 გირვანქად (593.800 დოლარი) „ჰამბურგიდან“ „საუთჰემპტონში“ გადავიდა.

1982 — ესპანეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე, მასპინძელთა წინააღმდეგ შეხვედრაში შეცვლაზე შევიდა და ეს იყო მისი ბოლო თამაში ნაკრებში. ჩაატარა 63 მატჩი, გაიტანა 21 გოლი. იმავე წელს გადავიდა „ნიუკასლში“. სატრანსფერო თანხამ 100.000 გირვანქა (141.000 დოლარი) შეადგინა.

1984 —საფეხბურთო კარიერა დაასრულა.

1992 — მწვრთნელის ამპლუით დაუბრუნდა „ნიუკალს“ და სამი თვის მუშაობის შემდეგ სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

1993 — „ნიუკასლი“ პირველი დივიზიონის ჩემპიონი გახადა და პრემიერლიგაში აღზევდა.

1996 — „ნიუკასლი“ მხოლოდ „მანჩესტერ იუნაიტედს“ ჩამორჩა და მეორე ადგილზე გავიდა. „ბლექბერნიდან“ სარეკორდო თანხად, 15 მილიონი გირვანქად (21 მილიონი დოლარი) კიგანის გუნდში ალან შირერი გადავიდა.

1997 წლის 8 თებერვალი — „ნიუკასლიდან“ წავიდა და „ფულემის“ მწვრთნელ რეი უილკინსის თანაშემწედ დაინიშნა.

1998 — უილკინსის ადგილს იკავებს.

1999 — ჩააბარეს ეროვნული ნაკრები. მისი ხელმძღვანელობით ბრიტანელებმა ჯერ პოლონეთი დაამარცხეს, შემდეგ პლეი ოფში შოტლანდია, რის შედეგადაც დაეუფლნენ ბელგია-ჰოლანდიის საგზურს.

2000 — ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე წარუმატებელი გამოსვლისა და შემოდგომაზე მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში გერმანიასთან დამარცხების გამო თანამდებობიდან გადადგა. მისი ხელმძღვანელობით ინგლისის ნაკრებმა ჩაატარა 18 მატჩი, 7 მოიგო, 7 ფრედ დაასრულა და 4 შეხვედრაში დამარცხდა.

2001 წლის 24 მაისი — დაინიშნა „მანჩესტერ სიტის“ მწვრთნელად.

## ტიტულები

ინგლისის ჩემპიონი — 1972-73, 1975-76, 1976-77;
ინგლისის თასის მფლობელი — 1974;
ჩემპიონთა თასის მფლობელი — 1977;
უეფას თასის მფლობელი — 1973, 1976;
ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი — 1977-78, 78-79;
ინგლისის საუკეთესო ფეხბურთელი — 1981-82

# სადღეგრძელო გითხარ!

## გიჯობს სხვა გზით გაიარო...

**კანის** ღრიალი რა მოსატანია იმასთან, „სან სიროდან“ შორს, პატარა ინგლისური ქალაქის ლიჩფილდის ერთ-ერთ სახლში რომ გაისმა: 50 წლის კაცმა, რომელზეც მხოლოდ ისღაა ცნობილი, რომ სამი ათეული წელია „მანჩესტერ იუნაიტედს“ გულშემატკივრობს, ცხრათვიანი ჭინთვა წარმატებულად გაასრულა და ნახევარი მილიონი გირვანქა შვა. „27 წელია ამ საქმეში ვარ და მსგავსი არაფერი მინახავს“ — აღიარა საბუკმეიკერო „უილიამ ჰილის“ პრეს-ატაშემ.

აი კაცი, აი მეკუშე! მოდი და იტილავე ამის მერე ცხრა მინუს შვიდი ოცდახუთთეთრიან ვარიანტზე და მისთანები. 30 პენსი დადო და მილიონ 660 ათასი კუში დაიჭირა. ეგ კი არა, „ბაიერნს“ ძირითად დროში რომ ემარჯვა, მეორე ვარიანტში დამატებით 314 ათას გირვანქასაც იგებდა.

და თქვენ გგონიათ, ჰიცფელდის გუნდი რომ ჩემპიონთა თასს მოიპოვებდა, ამ კაცმა ორშაბათს ან სამშაბათს ივარაუდა? როგორ გეკადრებათ — ქვითარი შევსებულია... 18 აგვისტოს ანუ „სან სიროს“ ფინალამდე ცხრა თვით ადრე!

**გადასარევი ქვითარია. ჩავიხედოთ**

1. ინვერნესი — ფალკირკი 2 (ფალკირკმა მოიგო 3:2)
2. აბერდინი — ჰიბერნიანი 2 (ჰიბერნიანმა მოიგო 2:0)
3. არსენალი — ლივერპული 1 (არსენალმა მოიგო 2:0)
4. მანჩესტერ იუნაიტედი მოიგებს პრემიერლიგას
5. ფულემი მოიგებს პირველ დივიზიონს
6. მილუოლი მოიგებს მეორე დივიზიონს
7. ბრაიტონი მოიგებს მესამე დივიზიონს
8. ლივინგსტონი მოიგებს შოტლანდიის პირველ დივიზიონს
9. პარტიკ თისლი მოიგებს შოტლანდიის მეორე დივიზიონს
10. ჰამილტონი მოიგებს შოტლანდიის მესამე დივიზიონს
11. რაშდენ ენდ დაიმონდსი მოიგებს კონფერენც-ლიგას (ინგლისის მეოთხე დივიზიონის მომდევნო ლიგაა)
12. ლესტერი მოიგებს ინგლისის რაგბის ჩემპიონატს
13. სარი მოიგებს ინგლისის კრიკეტის ჩემპიონატს
14. გლოსტერშირი მოიგებს ინგლისის კრიკეტის თასს
15. მიუნხენის „ბაიერნი“ მოიგებს ევროპის ჩემპიონთა ლიგას

აი, ახლა წარმოიდგინეთ, რა ხდებოდა გუშინწინ საღამოს პატარა ლიჩფილდის ერთ-ერთ სახლში — წინა თოთხმეტივე პროგნოზი ხომ ამ „ჯადოქარს“ გარტყმული ჰქონდა. როგორც იტყობინებიან, დაზლვევაზე არც უფიქრია და კანს რომ არ ეყოჩაღა, გახვრეტილ შაურიანსაც ვერ მიიღებდა.

ყველაზე საოცარი კი ის გახლავთ, რომ ამ კაცმა ორი წლის წინ ორნახევარ გირვანქაში 157 ათასი მოიგო და მაშინ ბოლო გამოცნობილი შედეგი „მანჩესტერ იუნაიტედის“ მიერ იმავე „ბაიერნის“ სასწაულად დამარცხება გახლდათ.

...გიჯობს სხვა გზით გაიარო, ჩემს კანტორასთან არ ჩაიარო — ალბათ ღიღინებენ დანარჩენი ტოტალიზატორები.

**გიგა ძოგახიძე**

იყიდება როტვეილერის ლეკვები
☎ 39 42 65
(საღამოს. 19⁰⁰-21⁰⁰)



რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

# იორკი VS სერ ალექსი
## ამბავი გაბუტულებისა

**ინგლისური** გაზეთების ცნობით „მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელი სერ ალექს ფერგიუსონი და ამავე გუნდის ტრინიდადელი თავდამსხმელი დუაიტ იორკი წაჩხუბებულან და აგერ უკვე კვირაზე მეტია, ერთმანეთს არ ელაპარაკებიან. პრემიერლიგის ბოლო ტურში ტრინიდადელს არ უთამაშია. უფრო ზუსტად, იგი სერ ალექსმა არ ათამაშა.

კონფლიქტზე ჩამოვარდა თუ არა სიტყვა, „იუნაიტედის" ოფისთან რიგი დადგა. თუ იორკი აღარ გჭირდებათ, მოგვყიდეთო. განსაკუთრებით „ნიუკასლ იუნაიტედი" და „ჩელსი" აქტიურობენ. ისიც ცნობილი გახდა, რომ ეს ორი კლუბი თანახმაა, დუაიტის სანაცვლოდ 9 მილიონი გირვანქა გადაიხადოს. აქეთ კიდევ „ლივერპულმა" გამოიდო თავი და „ოლდ ტრეფორდზე" შეტყობინება აფრინა, თუ იორკს გაუშვებთ, უცილობლად „ენფილ როუდის" მისამართი მიუთითეთ, ძლიერი თავდამსხმელები ჰაერივით გვჭირდებაო.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ალბათ დაგაინტერესებთ, რატომ წაკინკლავდნენ იორკი და სერ ალექსი. კეთილი, დაწვრილებით მოვყვეთ.

დუაიტ იორკს ჰყავს ერთი ძმაკაცი, მისივე თანამემამულე რასელ ლატაპი. იგი ნახევარმცველია და შოტლანდიური კლუბის, „ჰიბერნიანის" ღირსებას იცავს. 11 მაისს იორკი თავისი ძმობილის სანახავად და დროის სატარებლად ედინბურგში ჩასულა. ორივე კარგა გვარიანად გამომთვრალა და არც ერთს არ გახსენებია, რომ ორიოდ დღეში უნდა ეთამაშათ. უგელვებიათ მანქანა ედინბურგის ქუჩებში მთვრალებს. ბოლოს ისინი პოლიციას გამოუჭერია და დაუჯარიმებია.

„ჰიბერნიანის" მწვრთნელმა ალექს მაკლეიშმა ლატაპი დასაჯა და რამდენიმე თამაშით გუნდიდან მოკვეთა. იორკმა კი 13 მაისს „საუთჰემპტონთან" ითამაშა, რადგან სერ ალექსმა დროულად ვერ შეიტყო მისი თავგადასავალი. შემდეგ შოტლანდიელს ტრინიდადელისთვის უთქვამს, თავს ნუ გაგივიდა, გონს მოეგეო, თან დაუყოლებია, „ტოტენჰემის" წინააღმდეგ პრემიერლიგის უკანასკნელ ტურში არ გათამაშებო. მას მერე მწვრთნელი და ფეხბურთელი ერთმანეთს ხმას არ სცემენ.

იორკმა განაცხადა, მიუხედავად ამ უთანხმოებისა, „ოლდ ტრეფორდიდან" წასვლა არ მსურს და სერ ალექსსაც მალე შევურიგდებიო.


სერ ალექს ფერგიუსონი და დუაიტ იორკი ერთმანეთს აღარ უცინიან

**ნიკა შუბლაძე**



**ფეხბურთის რუკასთან**

**ინგლისის** პრემიერლიგიდან გავარდნილი „ბრედფორდის" თავდამსხმელმა ბენიტო კარბონემ განაცხადა, რომ „ლიდს იუნაიტედში" იწვევენ და დასძინა, სამწლიანი კონტრაქტის მიუხედავად, თანახმა ვარ, „ბრედფორდი" დავტოვო და „ელანდ როუდზე" გავაგრძელო კარიერაო. „ლიდსი ძალიან კარგი ქალაქია, დევიდ ოლირის ჩინებული გუნდი ჰყავს, სიამოვნებით გადავიდოდი იქ. თანაც ლიდსში ბევრი იტალიელი ცხოვრობს" — თქვა კარბონემ. იორკშირულმა კლუბმა მას ხელფასად კვირაში 40 ათასი გირვანქა შესთავაზა.

**ფრანგულმა მარსელის „ოლიმპიკმა" „ბასტიას" პოლონელი მცველი პიოტრ სვიერჩევსკი შეიძინა. 28 წლის ფეხბურთელი ახალ კლუბში თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავიდა და სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. „მარსელში" მან უილიამ გალასი უნდა შეცვალოს, რომელიც კარიერას სავარაუდოდ ლონდონის „ჩელსიში" გააგრძელებს. მარსელელები ბელგიურ „ლუვიესთანაც" აწარმოებენ მოლაპარაკებას, რათა ხორვატიის 21-წლამდელთა ნაკრების მეკარე ვენსან რუნიე „ველოდრომზე" გადაიბირონ.**

**ესპანეთის** 21-წლამდელთა ნაკრების თავდამსხმელი პაბლო გონსალეს კინაგო ახალ სეზონს „იფსვიჩში" დაიწყებს. ფეხბურთელს სეზონის ბოლოს ვიგოს „სელტასთან" კონტრაქტი აუსრულდება და პრემიერლიგურ კლუბში თავისუფალი აგენტის სტატუსით ჩაირიცხება. „პაბლო ნიჭიერი და პერსპექტიული მოთამაშეა, ახალი სეზონიდან ევროთასებზე ძალიან დაგვეხმარება. იგი თავისი ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების ლიდერია, ბოლო მატჩში ინგლისს ორი გოლიც კი გაუტანა" — განაცხადა ინგლისელთა წარმომადგენელმა. აღსანიშნავია, რომ პაბლო „სელტას" ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ხვდებოდა და კლუბის გამოცვლა თავად ისურვა.

**ფრანგული „ბასტიას" წარმომადგენელმა ოფიციალურად დაადასტურა, რომ კლუბს ახალი სეზონიდან რობერ ნუზარე ჩაუდგება სათავეში, იგი ფრედერიკ ანტონეტის შეცვლის. ნუზარე სეზონის დასაწყისში „სენტ ეტიენში" მუშაობდა, თუმცა სექტემბერში თანამდებობიდან გაათავისუფლეს, შემდეგ კი „ტულუზს" წვრთნიდა და ამ კლუბში საკმაო წარმატებებსაც მიაღწია. „ბასტიას" ხელმძღვანელები ნუზარესთან დაახლოებით ერთი თვის მანძილზე აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს და საბოლოოდ შეთანხმდნენ.**

**ინგლისური** „არსენალის" არგენტინელი ლეგიონერი ნელსონ ვივასი „პარი სენ ჟერმენის" თვალთახედვის არეში მოექცა. ეს ფეხბურთელი ლონდონურ კლუბში ვიგოს „სელტადან" ჩაირიცხა, თუმცა ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ხვდება და „ჰაიბერიდან" წასვლა გადაწყვიტა. პარიზელებს ვივასთან ერთად „პარკ დე პრენსზე" „ესპანიოლის" თავდამსხმელის რაულ ტამუდოსა და „ფიორენტინას" პორტუგალიელი ლეგიონერის ნუნუ გომეშის შეძენაც სურთ. შეგახსენებთ, რომ რამდენიმე თვის წინ ტამუდოს „გლაზგო რეინჯერსი" ყიდულობდა, თუმცა ტრანსფერი ჩაიშალა.

**შოტლანდიური „რეინჯერსი" ნახევარმცველ იორგ ალბერტცის „ჰამბურგში" გაშვებასა და სანაცვლოდ 3 მილიონი გირვანქის მიღებას დათანხმდა. თავად ფეხბურთელს ძლიერ სურს სამშობლოში დაბრუნება. მალე „ჰამბურგთან" სამწლიან კონტრაქტსაც მოაწერს ხელს.**

# ფუ, სარაგოსა!


ხუან ესნაიდერო

**არგენტინელი** თავდამსხმელი ხუან ესნაიდერი დიდი ხანია ევროპაშია და მალიმალ თავგადასავლებში ეხვევა. აი, ახლაც, ესნაიდერის გარშემო ახალი სკანდალია ატეხილი — „სარაგოსას" ფეხბურთელი საკუთარი გუნდის გულშემატკივარს ეჩხუბა.

ამ საქციელის გამო ესპანურმა პრესამ არგენტინელი გვარიანად გააკრიტიკა, მაგრამ ის მომხდარს სხვანაირ ინტერპრეტაციას უკეთებს: „რატომ შენიშნეს მხოლოდ ჩემი ქცევა და არაფერი თქვეს იმ სიტყვებზე, რომლითაც გულშემატკივარმა მომმართა?"

საქმე კი აი, რა არის: რატომღაც „სარაგოსას" ქომაგებმა აიჩემეს, რომ მათი გუნდის თავს თუ რამ ცუდი ხდება, ესნაიდერის ბრალია. და აი, რომელიღაც მათგანმა ფეხბურთელს მიახალა, „სარაგოსა" გასავარდნთა შორის სწორედ შენ გამოა მოხვედრილიო. ამ განცხადებამ არგენტინელი გააცოფა და იჩხუბა, მოგვიანებით კი ბოდიში მოიხადა, ხოლო უეცარი აფეთქება ასე ახსნა: არ ვიჩხუბებდი ჩემს შვილებთან ერთად რომ არ ვყოფილიყავი, მაგრამ, რადგან ბავშვები მახლდნენ, პასუხი საჭიროდ ჩავთვალე, მე ხომ შვილებისთვის მაგალითი ვარ.

შეგახსენებთ, რომ ხუან ესნაიდერი ტურინის „იუვენტუსის" საკუთრებაა, „სარაგოსამ" კი ის მხოლოდ და მხოლოდ ითხოვა, ოღონდ, როგორც თავად ფეხბურთელი ამბობს, უკვე შეაძულა თავი.

**ბაჩუნა ძიდია**

ყოველკვირეული
გაზეთი
სარბიელი
თავის ფასში
ტელეფონით!
ბინაზე მიტანით 1 თვით, 2 თვით,
3 თვით, 6 თვით, 12 თვით.
98-89-09, 26-10-80, (899) 55-30-97
ფოსტის ყუთები და
დამონტაჟება უფასოა!
„პრეს-მობილი"

## ლატვია
### თასის ფინალი
**სკონტო 2:0 დინაბურგი**

1:0 მიხოლაპსი (69), 2:0 ზაკრეშევსკისი (82)
სკონტო: პიდელსი, ზაკრეშევსკისი, ზემლინსკისი, ბლაგონადეჟდინსი, სამუსევასი, რიხვიაშვილი, ბულტკუსი, ვერპაკოვსკისი (ჩალაძე 87), კორდალიძე (ოლშანსკი 90), კოლესნიჩენკო, მიხოლაპსი (ელისეევსი 87)
1 200 მაყურებელი

## ბრაზილია
### თასის 1/4 ფინალი
II მატჩები

ატლეტიკო პარანენსე — კორინთიანსი 0:1 (0:0); სან პაულუ — გრემიო 3:4 (1:2); ფლამენგო — კურიტიბა 1:1 (2:3); პონტე პრეტა — ფორტალეზა 5:2 (0:1)

## მოლდოვა
### თასის ფინალი

შერიფი (ტირასპოლი) — ნისტრუ (ოტაჩი) 0:0 (პენ. 5:4)

## ბოსნია
### თასის 1/2 ფინალი. II მატჩები

სარაევო — პოსუშიე 4:1 (0:1); ჟელეზნიჩარი — შიროკი ბრიეგი 2:1 (1:0)

## ხორვატია
### თასის ფინალი. II მატჩი
**დინამო 1:0 ჰაიდუკი (2:0)**

1:0 ფილიპოვიჩი (16)

## Copa Toyota Libertadores '2001
### ლიბერტადორესის თასი 2001

1/4 ფინალი. I მატჩები

**რივერ პლეიტი (არგენტინა) 0:0 კრუზ ასული (მექსიკა)**

რივერ პლეიტი: კონსტანცო, ლომბარდი, ს. აიალა, იეპესი, როხასი, ბერეირა (ესკუდერო 61), ასტრადა, დ. ალვარესი (დალესანდრო 66), ორტეგა, სავიოლა, კუევასი (კავენაგი 67)
კრუზ ასული: ო. პერესი, გუტიერესი (ტ. კამპოსი 76), ანგელესი, ალმაგერი, მ. ბრაუნი, გალდამესი, ხ. ერნანდესი, პინეირო, ა. მორალესი, პალენსია, ხ. კარდოზო (ბელოზო 81)
30 000 მაყურებელი

**პალმეირასი (ბრაზილია) 3:3 კრუზეირო (ბრაზილია)**

1:0 ლოპესი (23), 1:1 ოსეასი (42), 1:2 ჟოვანი (44), 2:2 ლოპესი (67), 2:3 ვაგნერი (82), 3:3 ლოპესი (90)
პალმეირასი: მარკოსი, არსე, ალეშანდრე, ლეონარდო, ფელიპე, გალეანო, მაგრაო, ჟუნინიო (ფერნანდო 46), ალექსი (ტუტა 79), ლოპესი, ფაბიო ჟუნიორი (ლ. მუნიოსი 58)
კრუზეირო: ანდრე, ნენემი (მ. რამოსი 72), კრისი, ლუიზაო, სორინი, ვინისიოსი, რიკარდინიო, კლებერი (ვაგნერი 60), ჟეკსონი, ოსეასი, ჟოვანი
25 000 მაყურებელი

**ვასკუ და გამა (ბრაზილია) 0:1 ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)**

0:1 ბაროს შელოტო (69)
ვასკუ და გამა: ელტონი, მარიკა (ჟორჟინიო 46), გედერი, ტორესი, ჟორჟინიო პაულისტა, ფაბიანო (ზადა 81), პაულუ მირანდა, პედრინიო (დედე 66), ჟუნინიო პაულისტა, ჟულერი, ვიოლა
ბოკა ხუნიორსი: ო. კორდობა, იბარა, ბერმუდესი, ბურდისო, მატელანი, ვილარეალი, სერნა, ტრავერსო, რიკელმე (ო. პერესი 90), დელგადო (პინტო 89), გილერმო ბაროს შელოტო (გიმენეზი 90)
10 000 მაყურებელი

იყიდება!
ნახმარი
კომპიუტერული ტექნიკა
ტელ. 38-11-14, 39-48-29

ინფორმაცია 24 საათის განმავლობაში
ფეხბურთი, NHL, NBA
☎ 8 22 009 000, 8 22 009 001 (1წთ / 50 თეთრი)

იყიდება როტვეილერის ლეკვები
☎ 39 42 65
(საღამოს. 19⁰⁰-21⁰⁰)



**ტრაგიკულ** ამბავთა უცხოური ქრონიკა იმდენად ვრცელია, რომ მასზე თხრობა უსაშველოდ შორს წაგვიყვანს, რადგან მთამსვლელები იღუპებიან ხუთივე კონტინენტის მთებში. იღუპებიან ჰიმალაის ცათამბჯენებზეც, ყარაყორუმის, პამირის, ტიან-შანის, ალპების, ჰინდკუშის, კორდილიერების თუ სხვა მთების პიკებზე. ყველაზე მეტი, ალბათ, მაინც ჰიმალაისა და ყარაყორუმის დიდსა თუ პატარა მწვერვალებზე დაღუპულა. ეს ბუნებრივიცაა, რადგან სწორედ ამ მთებშია აღმართული დედამიწის თოთხმეტი უმაღლესი რვაათასიანი მწვერვალი, რომელიც ანდამატივით იზიდავს მთამსვლელებს.

ტრაგიკულ ამბავთა უცხოური ქრონიკების ამ სერიალში შემოვიფარგლებით სწორედ რვაათასიან მწვერვალებზე დატრიალებული ყველაზე დიდი უბედურებებით, რომლებიც 1895 წლიდან იღებს სათავეს. იმ წელიწადს პაკისტანში მდებარე დედამიწის სიმაღლით მეცხრე მწვერვალ ნანგა პარბატზე (8125მ) პირველი ექსპედიცია მიადგა. ინგლისელთა ის ექსპედიცია პირველი იყო არა მხოლოდ ამ მწვერვალზე, არამედ საერთოდ რვაათასიანზე, რომელზე ასვლაც მთამსვლელებმა პრაქტიკულად სცადეს.

ექსპედიციას იმ დროისთვის გამოჩენილი მთამსვლელი და მოგზაური ალფრედ მამერი მეთაურობდა. მის პატარა გუნდს, რომელშიც გ. ჰასტინგსი, ნორმან კილი და ჩარლზ ბრიუსი გახლდნენ, განზრახული ჰქონდა არა მხოლოდ მწვერვალის დაზვერვა, არამედ მასზე ასვლის ცდაც. ისინი მწვერვალს დიამირის ხეობიდან მიადგნენ. მამერი ერთ გურკჰ მებარგულთან ერთად ჩრდილო-დასავლეთით მდებარე კლდეებიდან 6100 მეტრის სიმაღლეზე გამავალ თხემზე ავიდა.

მამერის (და სხვებსაც), ბუნებრივია, ჰიმალაის მთებში სიარულის გამოცდილება არ ჰქონდა. ამიტომ იფიქრა, ყველა სირთულე უკან მოვიტოვეთ და ხვალ მწვერვალზე ვიქნებითო, მაგრამ რა იცოდა, რომ იქამდე ერთ დღეში ვერაფრით ააღწევდა და სამი ბანაკის მოწყობა მაინც დასჭირდებოდა.

მამერი მართლაც გაუდგა გზას; მაგრამ ზვავის საშიშროება დაინახა, მის გამყოლსაც მთის ავადმყოფობა შეეყარა და ამიტომ პირი იბრუნა. თუმცა, უკან არ დაუხევია. მეთაურმა გადაწყვიტა მყინვარ რაკჰიოტზე გადასულიყო და იქ უფრო უხიფათო გზა ეპოვა. მამერი ერთ გამცილებელთან, რაგობირთან და ორ მებარგულთან ერთად საკმაოდ რთული ჩრდილოეთის ქედისკენ (6200მ) გაემართა, მაგრამ რაკჰიოტის ყინვარს ვერ მიაღწია. ამას ვინ ჩივის, იქიდან არცერთი აღარ დაბრუნებულა. ის ოთხეული ნანგა პარბატის და საერთოდ რვაათასიანების პირველი მსხვერპლი გახდა, რასაც დიდი მსჯელობა და პრესა მოჰყვა.

მას შემდეგ რვაათასიანებზე ასვლების დიდი გამოცდილება დაგროვდა, საჭურველიც ფანტასტიკურად გაუმჯობესდა და ამგვარ მწვერვალებზე ასვლით 2767 (აქ და ქვემოთ ციფრები 2000 წლის 1 იანვრის მონაცემებით მოგვყავს) მთამსვლელმა გაიხარა, მაგრამ ტრაგიკული შემთხვევების რაოდენობა სულაც არ კლებულობს. იქ დაღუპულთა რაოდენობა 590 გასცდა. ზოგი ასვლისას დაიღუპა, ზოგიც მწვერვალის დალაშქვრის მერე. მათი გვამებით მოფენილია რვაათასიანები, მწვერვალთა ძირში კი, კლდეებზე, დაღუპულთა თავისებური მემორიალური წარწერები ამოუტვიფრავთ.

1980 წელს დედამიწის უმაღლეს მწვერვალ ევერესტის ფერდობებზე დაიღუპნენ იტალიელთა ექსპედიციის წევრები ფრანკო პიანო და შერპი ნავანგ კარპანგა. ნავანგი ევერესტის ფერდობებიდან გადმოვარდნილმა ყინულის ნამსხვრევმა იმსხვერპლა, ფრანკო კი თოვლის ზვავმა ისე ჩაჩუმქრა, რომ მეგობრებმა ვეღარც მიაგნეს. ორი წლის მერე იქ ასულებმა ფრანკო პიანოს მემორიალური „დაფაც“ ვნახეთ და ისიც შევიტყვეთ, რომ ქვემოთ, კარავში იპოვეს მისი დღიური, რომელშიც ჩაეწერა ასეთი სტრიქონები: „არ ვიცი, სწორედ ვიქცევი თუ არა, რომ აქ წამოსვლით ჩემს ოჯახსა და მეგობრებს ვაღელვებ, მაგრამ აქ ისე მშვენიერია ყველაფერი... ეს ის შემთხვევაა, როცა რისკი გამართლებულია“.



ევერესტის ფერდობებზე დაღუპულ მთამსვლელთა მემორიალური წარწერები. მარცხნიდან ქვემოთ პირველი ფრანკო პიანოს მემორიალური ქვა

# საფლავები

## ტრაგიკულ ამბავთა უცხოური ქრონიკა

ფრანკოსთვის მეორე სიცოცხლე რომ მიეცათ, ალბათ ისევ მთაში წავიდოდა.

ამ იტალიელი მთამსვლელის ჩანაწერით ვინც ვერ მიხვდება, თუ რისთვის დადიან მთაში და რატომ იგდებენ თავს საფრთხეში, ალბათ სულ ვერაფერს გაუგებს მისივე ავსტრიული წარმოშობის თანამემამულის, ლეგენდარული მთამსვლელის რაინჰოლდ მესნერის ფილოსოფიურ მსჯელობას:

„მწვერვალზე ასვლა საკუთარ თავთან ერთობ მიმზიდველი ორთაბრძოლაა. ამ ორთაბრძოლის შესახებ წიგნიც დავწერე — „მარტოობის არენა“. ეს წიგნი, ვფიქრობ, ყველაზე უკეთ ხსნის ამ ორთაბრძოლის არსს. მთაში სიარული სპორტული ბრძოლაა, ოღონდ არა ისეთი, როგორიც აქვთ, ვთქვათ, ფეხბურთელებს, ველოსიპედისტებს ან სხვებს. როცა მთაში მთელი 16 დღის განმავლობაში მარტოდმარტო დაბორიალებ, არ ფიქრობ იმაზე, თუ როგორ მოატყუო უხილავი მეტოქე. თავგადასავალი, თავგადასავალი და ისევ თავგადასავალი გხიბლავს და გაჯადოებს. ადამიანი, ჩემი რწმენით, სწორედ თავგადასავლისთვის არის დაბადებული. მე მაგალითად, არასრულფასოვან, ყოვლად უვარგის მამაკაცად ჩავთვლიდი თავს, რომ წელიწადში ერთხელ მაინც არ გამოვცადო საკუთარი ძალა. ვფიქრობ, „რვაათასიანები“ იმდენად ბუმბერაზები არიან, რომ მათზე ასასვლელად იღბალიცაა საჭირო. ოღონდ არ იფიქროთ, რომ ყოველთვის, როცა მწვერვალზე ავდივარ, სიცოცხლეს ვრისკავ. და მაინც, ყოველი ასვლა — ეს სიკვდილის თავისებური გამოწვევაა. თუმცა, უამისოდ არც დიდი რისკი არსებობს. ხელოვნება ის კი არ არის, რომ სიკვდილი ვიპოვოთ, არამედ ის, რომ სასიკვდილო ორთაბრძოლიდან გამარჯვებული გამოვიდეთ. სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე ადამიანს ბევრის, ძალიან ბევრის სწავლა შეუძლია“.

— იმდენჯერ განმიცდია საკუთარი სიკვდილი, დარწმუნებული ვარ, მას მთაში შევხვდები — გვითხრა 1982 წელს კატმანდუში შეხვედრისას თოთხმეტივე რვაათასიანის პირველდამპყრობმა და ევერესტზე ასევე პირველმა მარტოდმარტო ამსვლელმა რაინჰოლდ მესნერმა.

საბედნიეროდ, „მთების ფილოსოფოსმა“ მწვერვალებზე სიკვდილი ვერ იპოვა და ახლა საღსალამათი ალბათ ისევ ფილოსოფოსობს.

აი, ინგლისელმა ჯორჯ მელორმა კი ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე, აწ უკვე იმ შორეულ 1924 წელს თქვა, „ევერესტზე მივდივარ, რადგან იგი არსებობს“.

წავიდა და ვეღარც ის დაბრუნდა.

ეტყობა, ჯორჯ მელორს თავისი აღსასრულის წინათგრძნობა ჰქონდა. სანამ ბრიტანეთს დატოვებდა, ცოლისთვის მიუწერია: „ეს უფრო ომს დაემსგავსება, ვიდრე ასვლას. იმედი არ მაქვს, რომ დავბრუნდები“.

ეს სიტყვები მელორმა ევერესტზე თავის მეორე ექსპედიციის დაწყებამდე დაწერა, რადგან კარგად იცოდა, თუ სად მიდიოდა. მით უმეტეს, იგი მონაწილეობდა ინგლისელთა 1922 წლის ექსპედიციაშიც, რომელიც დედამიწის უმაღლესი მწვერვალის დალაშქვრას პირველი შეეცადა. მაშინ ევერესტის ჩრდილო უნაგირაზე უშველებელი ზვავი მოწყდა და გუნდის შვიდი შერპის სიცოცხლე შეიწირა. ეს იყო პირველი მსხვერპლი, რომელიც ევერესტმა მიიღო.

მიუხედავად ამისა, ამ ექსპედიციის მიღწევა უდიდეს სიხარულის მონათლის. მართლაც, ხუმრობა ხომ არ იყო, მთამსვლელები პირველად ავიდნენ ისე მაღლა (8326 მ), სადაც მანამდე არცერთ სულიერს ფეხი არ შეედგა და არც გადეფრინა, თვითმფრინავითაც კი.

ასე იყო თუ ისე, 1924 წლის ექსპედიცია სავალალოდ დაიწყო. ექსპედიციის შერპებმა ხელ-ფეხი მოიყინეს, ზოგმა მოიტეხა და თავიცა და ნეკნებიც მიაყოლა. ბევრს ფილტვების ანთება დაემართა, ორი მებარგული კი საერთოდ ვეღარ დაბრუნდა საბაზოში — ევერესტმა თავის მსხვერპლთა რაოდენობა ცხრამდე გაზარდა.

მაგრამ ინგლისელები მაინც არ დანებდნენ და ამინდი გაუმჯობესდა თუ არა, ისევ მწვერვალს ეკვეთნენ. მათ 8565 მეტრამდე ააღწიეს, რაც რეკორდული მაჩვენებელი იყო. ამის მერე მწვერვალზე გადამწყვეტი იერიში მიიტანეს მელორმა და ენდრიუ ირვინმა.

მელორს ის საოცარი წინათგრძნობა სწორედ მაშინ აუხდა. როცა მეექვსე ბანაკიდან გავიდნენ, მათი გამცილებელი ოდელი მეხუთეში დაეშვა და მეგობრების წინსვლას დურბინდით აკვირდებოდა. მერე თანდათან არემარე ღრუბლებმა დაფარა და თოვაც დაიწყო. დროდადრო, როცა ღრუბლები ოდნავ იხლიჩებოდა, ოდელი უმალ დურბინდს იმარჯვებდა. ერთ-ერთი ასეთი გახლეჩისას მან მართლაც დაინახა ორი მოძრავი წერტილი. მისი ვარაუდით, ეს „წერტილები“ დაახლოებით 8 600 მეტრის სიმაღლეზე იყვნენ. ამის მერე ისინი აღარავის უნახავს. მელორი და ირვინი უცხოელ მთამსვლელთაგან ევერეტის მეათე და მეთერთმეტე მსხვერპლნი გახდნენ.

ამ ექსპედიციამ უდიდესი გამოხმაურება გამოიწვია. ეს თავისთავად განაპირობა ოთხი კაცის დაღუპვამ და იმანაც, რომ მთამსვლელთა მიერ აღებული სიმაღლე პრაქტიკულად ყველა რვაათასიანზე მაღალი იყო. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ მთამსვლელებმა 8 500 მეტრამდე ჟანგბადის ბალონების გარეშე ააღწიეს, მელორისა და ირვინის მიღწევა 1953 წლამდე ვერავინ გააუმჯობესა. ზოგი ცნობილი მთამსვლელი ფიქრობს, რომ შესაძლოა მელორმა და ირვინმა მწვერვალსაც მიაღწიეს, მაგრამ დაშვებისას დაიღუპნენ.

ამ საიდუმლოს ამოსახსნელად 1999 წელს საგანგებო ექსპედიცია მოეწყო. მისმა წევრებმა 75 წლის მერე ჯორჯ მელორის გვამს მიაგნეს. მიაგნეს დაახლოებით იმ იდგილზე, სადაც ოდელმა ორი მოძრავი წერტილი დაინახა. კარგად შენახული გვამი მწვერვალისკენ, პირქვე დამხობილი აღმოაჩინეს.

ირკვევა, რომ მელორის ცხედარს 1975 წელს გადაეყარა ვანგ ჰონგ ბაოც, თუმცა, არც იცოდა, ვისი ცხედარი იყო. მაშინ ჩინელმა მთამსვლელმა უბრალოდ თქვა „ძველი ინგლისელი მკვდარია“.

1999 წლის ექსპედიციის წევრებმა კი ცხედრის პერანგზე ნახეს დალამბული წარწერა „ჯ. მელორი“. ნახეს ორგან მოტეხილი მისი ფეხი.

მნახველთა ვარაუდით, მელორი კლდიდან გადმოვარდა და ფეხმოტეხილმა რაღაც მანძილზე თოვლზე ისრიალა. მერე თავის შესაფარებლად, თითქმის უგონოდ, ხოხვით ცდილობდა ციცაბო ფერდობზე გადასვლას. თან მოტეხილ ფეხს მიათრევდა. ბოლოს ძლიერმა ყინვამ იმსხვერპლა.

თოკის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მელორსა და ირვინს, ამ სახელოვან წყვილს შორის იგი არ გაგლეჯილა. ისინი მწვერვალისკენ თოკჩახსნილები, გვერდიგვერდ მიემართებოდნენ, რათა თავისუფლად ევლოთ.

ამის მერე, 1953 წლამდე, მანამ ევერესტი პირველად დანებდებოდა მთამსვლელებს, მის ფერდობებზე კიდევ მრავალი ტრაგედია დატრიალდა და იქ დღესაც იღუპებიან. ევერესტმა სიკვდილის ცელი ყველაზე ძლიერად 1996 წელს დაატრიალა, მაგრამ ამაზე ჩვენი სერიალის მომდევნო წერილში გიამბობთ.



ევერესტს ჩაბღაუჭებული ჯორჯ მელორის ცხედარი

**ავთანდილ გურასპიშვილი**

*(გაგრძელება იქნება)*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის 2003 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირი

## საქართველო — ბულგარეთი

3 ივნისი. თბილისი. სპორტის სასახლე

# ქართველებმა ბულგარელებთან თავი გაიკონტროლეს. ჯერ მხოლოდ კლუბთან

## ბერძენიშვილმა ტომარაძე გააოცა

*საქართველოს კალათბურთელთა ეროვნულ ნაკრებს სულ მალე ევროპის 2003 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირში მოუწევს ჩაბმა. მოგეხსენებათ, ამჟამად ჩვენები სლოვენიაში იმყოფებიან შეკრებაზე. იმის გასაგებად, თუ როგორ ემზადება ჩვენი ნაკრები მომავალი მატჩებისათვის, გუნდის მთავარ მწვრთნელ, ზურაბ ტომარაძეს ლიუბლიანაში შევეხმიანეთ.*



მთავარი მწვრთნელი დავით ბერძენიშვილის მომზადებით კმაყოფილია

**— როგორი მდგომარეობაა გუნდში?**

— თავდაპირველად გეტყვით, რომ იდეალური პირობები გვაქვს მოსამზადებლად. რაც შეეხება ნაკრების წევრებს, ისინი ჩინებულ ფორმაში არიან. ყველანი დიდი მონდომებით ემზადებიან მომავალი მატჩებისათვის. ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც კარგი მდგომარეობაა, ბიჭები ოპტიმისტურად არიან განწყობილნი.

**— ლეგიონერებიდან ვინ შემოგემატათ?**

— ზაზა ფაჩულიას „ულქერი" თურქეთის პირველობაზე ჩემპიონობისთვის იბრძვის და შესაბამისად იგი ჯერჯერობით თურქეთშია. უკვე ჩვენთანაა დავით ბერძენიშვილი, რომლის კონდიციებმაც ნამდვილად გამაოცა, რადგან არც თუ ისე დიდი ხანია, რაც ტრავმა მოიშუშა. იგი ბრწყინვალე ფორმაშია, ფიზიკურადაც ძალიან კარგად არის მომზადებული. ვფიქრობ, დიდ დახმარებას გაგვიწევს მომავალ თამაშებში.

**— ვინმესთან ხომ არ ითამაშეთ?**

— „ოლიმპიას" დუბლებს შევხვდით. მათი პირველი გუნდი ჩემპიონობისთვის იბრძვის და, მიუხედავად ამისა, ჩვენს წინააღმდეგ ძირითადი შემადგენლობის ოთხმა კალათბურთელმა ითამაშა. მატჩი ფრედ დასრულდა და რადგან ეს შეხვედრა ძირითადად ტაქტიკისა და კომბინაციების დასამუშავებლად გავმართეთ და მის შედეგს არავითარი პრინციპული მნიშვნელობა არ ჰქონდა, ურთიერთშეთანხმებით დამატებითი დრო აღარ ვითამაშეთ. ასევე შევხვდით ბულგარეთის უმაღლესი ლიგის გუნდს და 7 ქულით დავამარცხეთ. ამ თამაშში დავით ბერძენიშვილმა საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. რამდენიმე დღეში „სლოვანი" დაასრულებს სეზონს და მას შევხვდებით. დაგეგმილი გვაქვს, ასევე ჩემპიონობისათვის მებრძოლ ორივე გუნდს შევხვდეთ — „კრკასა" და „ოლიმპიას".

**— სლოვენელების მზადყოფნით კმაყოფილი ხართ?**

— ბოისას, ცქიტიშვილს და უგრეხელიძეს სისტემატურად ვაკვირდები, როგორც ვარჯიშზე, ისე თამაშებზე. კარგ ფორმაში არიან, მაგრამ ცოტა გადაღლილები ჩანან, რადგან მთელი სეზონის შემდეგ პლეი ოფის თამაშებმაც მოუწიათ. 25 მაისს „სლოვანი" გადამწყვეტ მატჩს მართავს ბრინჯაოსათვის და ამის შემდეგ ისინი ჩვენ შემოგვიერთდებიან.

**— ვლადიმერ ბოისამ ბოლო თამაშში ტრავმა მიიღო, ახლა როგორ არის?**

— საგანგაშო არაფერია. ორიოდ დღეში მწყობრში იქნება. სხვა მხრივ კი ყველაფერი კარგადაა, არავინ არაფერს უჩივის და იმედი მაქვს, 3 ივნისს ბულგარელებს ბრწყინვალე ფორმაში დავხვდებით.

**ირაკლი ბერტაია**



REUTERS

სეზონის მწვრთნელ ლარი ბრაუნს (მარჯვნივ) დაჯილდოების ცერემონიალზე მისი მწვრთნელი დინ სმიტი გამოეცხადა

# ბრაუნმა მართლა მოიგო აივერსონის მომრჯულებელი წლის მწვრთნელია

**„ფილადელფია სიქსერზი"** ისე ხვეტს ჯილდოებს, როგორც ფილმი „გლადიატორი" ოსკარებს. თუმც თუ ერთი ფილმისთვის ხუთი ოსკარის მინიჭება ჩვეულებრივი ამბავია, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ნახევარსაუკუნოვან ისტორიაში ამაოდ მოძებნით გუნდს, რომლის წევრებსაც სეზონის ექვსი უმთავრესი პრიზიდან ოთხი დაესაკუთრებინათ. „ფილადელფია" პირველი ასეთია. ალენ აივერსონს (სეზონის უძვირფასესი მოთამაშე), დიკემბე მუტომბოსა (სეზონის საუკეთესო დამცველი) და აარონ მაკკის (საუკეთესო მეექვსე მოთამაშეს) ამ ოთხმაბათს ოფიციალურად შეუერთდა მათი დამრიგებელი ლარი ბრაუნი, რომელმაც ნბა-ში ყველა კოლეგას აჯობა და წლის მწვრთნელის ტიტულს დაეპატრონა.

ლარი ბრაუნმა გამოკითხვა უდიდესი უპირატესობით მოიგო. 124 კალათბურთზე მწერალი ამერიკელი და კანადელი ჟურნალისტიდან მას 85-მა მისცა ხმა, რაც 73 ხმით მეტია მეორეადგილოსანი რიკ ადელმანის შედეგზე. საკრამენტოელ „მეფეთა" დამრიგებელს მოჰყვებიან დონ ნელსონი („დალასი", 8 ხმა), პატ რაილი („მაიამი", 5), ელვინ ჯენთრი („კლიპერსი", 4), ჯორჯ კარლი („მილუოკი", 4), გრეგ პოპოვიჩი („სან ანტონიო", 3), ფლიპ სანდერსი („მინესოტა, 3), ჯერი სლოუნი („იუტა", 1). როგორც ხედავთ, ბატონ ბრაუნს, ღირსეული კონკურენტი არ ჰყოლია.

ცხადია, ბრაუნს მრავალმა მიულოცა წარმატება, ნათესავ-ახლობლებმა, შეგირდებმა, კოლეგებმა, ოფიციალურმა პირებმა, მაგრამ მას ყველაზე მეტად ყოფილი მასწავლებლის, დინ სმიტის მილოცვა ეამა. სმიტმა ბრაუნი ორმოცი წლის წინ ჩრდილოეთ კაროლინას უნივერსიტეტში აზიარა კალათბურთს, ახლა კი გვარიანად შებერებულმა ათასი კილომეტრი გადაიფრინა, ფლორიდიდან ფილადელფიაში ჩავიდა და პოდიუმზე პრიზით ხელში მდგარ ბრაუნს უეცრად გამოეცხადა. „ო, ღმერთო ჩემო!" — ესღა აღმოხდა ბრაუნს და მოხუცი მასწავლებელი გულში ჩაიკრა. „ძალიან მიხარია. ვფიქრობ, ლარი ამას კარგა ხნის წინათაც იმსახურებდა. იგი მწვრთნელადაა დაბადებული" — თქვა დინ სმიტმა.

სხვათა შორის, „მწვრთნელად დაბადებული" ბრაუნისთვის ეს პირველი პირადი ტიტულია. არადა, თვრამეტი წელია, ნბა-ს გუნდებს წვრთნის და მშვენივრადაც გამოსდის ეს საქმე. მანამდე იგი ნბა-ს მოქიშპე ლიგაში — ამერიკის საკალათბურთო ასოციაცია (აბა) მოღვაწეობდა და აქაც და იქაც ჯამში ათას მოგებაზე მეტი შეაგროვა. მარტო ნბა-ში მიღწეული გამარჯვებებით იგი მეცხრე ადგილზეა ამ ლიგის მწვრთნელებს შორის.

„ფილადელფიამდე" ბრაუნი კარგა ხნით „ინდიანაში" მუშაობდა და ეს პროვინციული გუნდი მრისხანე გრანდად აქცია. მისი თაოსნობით „პეისერზმა" ორჯერ, 1994 და 1995 წლებში, სრულიად მოულოდნელად (თუმც დამსახურებულად) კონფერენციის ფინალს უწია. 1997 წელს „ინდიანადან" ბრაუნმა „ფილადელფიაში" გადაინაცვლა და ახლა ეს გუნდი აალორძინა. დღესდღეობით „სიქსერზი" ჩემპიონობისთვისა და ძველი დიდების დაბრუნებისთვის იბრძვის და ღირსეულადაც.

თავად 60 წლის ბრაუნისთვისაც ეს წელიწადი იქნებ კარიერის მწვერვალი იყოს, ყოველ შემთხვევაში, ძას მანამდე ასეთი სეზონი არ ჰქონია. სიდნეის ოლიმპიადიდან დაბრუნებულმა, სადაც რუდი ტომიანოვიჩს „დრიმ თიმის" გაწვრთნაში ეხმარებოდა, სერიოზულად მოჰკიდა საქმეს ხელი. „ფილადელფიამ" სეზონი ზედიზედ ათი გამარჯვებით დაიწყო, ყველაზე უმეტესი, 27 გასვლითი მოგება იზეიმა და ჯამში სეზონში 56 გამარჯვება მოუგროვდა, რითაც 1985 წლის შემდეგ პირველად აჯობა აღმოსავლეთში ყველას. ბრაუნი აგრეთვე თავკაცობდა „ოლ სტარში" აღმოსავლეთის გუნდს, რომელმაც დასავლელებს 111:110 მოუგო.

და მაინც, ბრაუნის უდიდეს მიღწევად ჭირვეული ალენ აივერსონის მორჯულება უნდა ჩაითვალოს. მწვრთნელმა ერთი ნიჭიერი, მაგრამ თავნება ბიჭისგან სეზონის უძვირფასესი მოთამაშე და იქნებ მომავალი ლეგენდა გამოთალა და რაც მთავარია, იგი გუნდის ინტერესებს დაუქვემდებარა. ბრაუნს პირად კოლექციაში ნბა-ს ჩემპიონბაღა აკლია და დღევანდელი გადასახედიდან ეს სულაც არ ჩანს აუხდენელ ნატვრად.

**ირაკლი ფირცხალავა**

## თურქეთი

# ულქერს ესროლეს და ნახევარფინალში გაასწილეს

| პლეი ოფი | |
|---|---|
| მეოთხედფინალი (სამ მოგებამდე) | |
| ულქერი | 3 |
| გალათასარაი | 2 |

**ულქერი 91:61 გალათასარაი**

**ულქერი:** ლოლისი (14), შენდლოგტენი (14), ფაჩულია (3 წუთი, 5 ქულა, 4 მოხსნა), გოლიოვიჩი (16), გიულერი (7), აჩიკი (14), გონლუმი, შაჰინი (1), ილდირიმი (14)

**გალათასარაი:** თაბაი, გიორქემი (4), ტოლბერტი (14), ენე (11), ბითიმი (2), კული (11), ვექილოღლუ (10), ქულჩებაში, მუეძინოვიჩი (9), ოზმენი

**თურქეთის** ჩემპიონატში მოასპარეზე ჩვენი თანამემამულის, ზაზა ფაჩულიას „ულქერსა" და „გალათასარაის" მეოთხედფინალური სერიის მეხუთე, გადამწყვეტი მატჩი გაიმართა.

გულშემატკივართა იმედი, რომ შეხვედრა ბოლომდე დაძაბული იქნებოდა, არ გამართლდა, მეტიც „ულქერმა" თავის მეტოქეს კალათბურთის გაკვეთილი ჩაუტარა და პირველი ოცი წუთის შემდეგ „გალათასარაი" უკვე განადგურებული იყო.

ფაჩულიას თანაგუნდელთა უპირობო ბატონობას მოედანზე სულ მხოლოდ ერთადერთხელ შეუშალეს ხელი, ისიც ტრიბუნიდან ნასროლმა საგნებმა და თანაც მატჩის დასაწყისში. სხვა მხრივ კი, პირველ და მეორე მეოთხედებში აჩიკის, ილდირიმისა და გოლიოვიჩის ბრწყინვალე თამაშს „გალათასარაიმ" ვერაფერი დაუპირისპირა და „ულქერი" საგრძნობი უპირატესობით დაწინაურდა — 46:30.

დაიწყო თუ არა მესამე ათწუთეული, აშკარა გახდა, რომ „გალა" ამ შეხვედრაში გარდატეხას ვერ შეიტანდა. საშუალო მანძილიდან ლოლისის, ხოლო შორიდან იმავე ილდირიმის უზუსტეს ტყორცნებს „გალათასარაის" მოთამაშეები იმით პასუხობდნენ, რომ ბურთს გამუდმებით კარგავდნენ. შედეგად ბოლო მეოთხედის წინ „ულქერი" 29 ქულით იგებდა.

მატჩის ბედი პრაქტიკულად უკვე გადაწყვეტილი იყო და ამიტომაც ორივე გუნდის მწვრთნელებმა ახალგაზრდებს მისცეს შანსი. მათ შორის იყო ზაზა ფაჩულიაც და იმ სამიოდე წუთის განმავლობაში, როდესაც იგი მოედანზე იმყოფებოდა, თავის ანგარიშზე 5 ქულა და 4 მოხსნა ჩაიწერა. შეხვედრა კი საბოლოოდ 91:61 დასრულდა.

ასე რომ, ჩვენი ზაზა და მისი „ულქერი" ნახევარფინალში გავიდნენ, სადაც მათი მეტოქე „ტელეკომსა" და „ფენერბაჰჩეს" შორის გამარჯვებული იქნება.

**ვაჟა ხუციშვილი**

## სლოვენია

| პლეი ოფი | |
|---|---|
| ფინალი (სამ მოგებამდე) | |
| ოლიმპია | 1 |
| კრკა | 0 |

**ოლიმპია 82:62 კრკა**

**ოლიმპია:** ველში (1), გოლემაცი (21), ბეჩიროვიჩი (22), მილიჩი (4), ბრეჟეცი (2), ჯორდანი (4), კოტნიკი (2), თუკაუსკასი (6), კოვაჩიჩი (20)

**კრკა:** ანზულოვიჩი (4), ივკოვიჩი, დონჩიჩი (4), პეტროვი (7), დევისონი (8), გრუმი (14), დრობნიაკი (9), კორტნი (13), არაპოვიჩი (3)

სარბიელი

# სპორტული ლატარია კროკო

### ინგლისი. I დივიზიონი. პლეი-ოფი. ფინალი
28 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 001 | ბოლტონი-პრესტონი | 1,9 | 3,1 | 3,6 |

### ინგლისი. II დივიზიონი. პლეი-ოფი. ფინალი
27 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 002 | რედინგი-უოლსოლი | 2,1 | 3,2 | 3,1 |

### ინგლისი. III დივიზიონი. პლეი-ოფი. ფინალი
26 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 003 | ბლეკპული-ლეიტონი | 2,4 | 3,2 | 2,6 |

### იტალია. სერია A. 32-ე ტური
27 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 004 | ბრეშა-ვიჩენცა | 2,1 | 2,1 | 4,4 |
| 18.00 | 005 | ფიორენტინა-ატალანტა | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 18.00 | 006 | ინტერი-ლაციო (ნეიტრ.) | 3,3 | 3,2 | 2,0 |
| 18.00 | 007 | იუვენტუსი-პერუჯა | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| 18.00 | 008 | ლეჩე-პარმა | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 18.00 | 009 | რეჯინა-ბარი | 1,15 | 4,0 | 8,0 |
| 18.00 | 010 | რომა-მილანი | 1,65 | 3,1 | 5,3 |
| 18.00 | 011 | უდინეზე-ნაპოლი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 18.00 | 012 | ვერონა-ბოლონია | 2,2 | 3,0 | 3,1 |

### იტალია. სერია B. 36-ე ტური
27 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 013 | ანკონა-რავენა | 1,45 | 3,3 | 6,0 |
| 18.00 | 014 | კოზენცა-პისტოიეზე | 1,7 | 2,8 | 3,8 |
| 18.00 | 015 | ჯენოა-კროტონე | 1,6 | 2,5 | 4,7 |
| 18.00 | 016 | მონცა-ემპოლი | 2,5 | 2,7 | 2,1 |
| 18.00 | 017 | პესკარა-ტორინო | 5,3 | 3,5 | 1,25 |
| 18.00 | 018 | პიაჩენცა-სამპდორია | 2,0 | 2,5 | 4,0 |
| 18.00 | 019 | სალერნიტანა-ჩიტადელა | 1,55 | 3,0 | 4,4 |
| 18.00 | 020 | სიენა-კალიარი | 2,2 | 2,6 | 3,3 |
| 18.00 | 021 | ტერნანა-ტრევიზო | 1,5 | 3,2 | 3,8 |
| 18.00 | 022 | ვენეცია-კიევო | 1,6 | 2,5 | 4,2 |

### იტალია. სერია C/1. პლეი-ოფი. I მატჩები
27 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 023 | სპეცია-კომო | 2,4 | 2,5 | 3,2 |
| 19.30 | 024 | არეცო-ლივორნო | 2,3 | 2,5 | 3,4 |
| 19.30 | 025 | ასკოლი-მესინა | 2,5 | 2,5 | 3,0 |
| 19.30 | 026 | აველინო-კატანია | 2,2 | 2,5 | 3,6 |

### იტალია. სერია C/2. პლეი-აუტი. I მატჩები
27 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 027 | ბრეშელო-კარარეზე | 2,2 | 2,4 | 4,0 |
| 19.30 | 028 | ატლეტიკო-ლოდიჯანი | 2,0 | 2,5 | 4,0 |
| 19.30 | 029 | ვიტერბეზე-ნოჩერინა | 2,4 | 2,5 | 3,2 |
| 19.30 | 030 | რეჯანა-ალძანო | 2,2 | 2,5 | 3,6 |

### ესპანეთი. 1-ლი დივიზიონი. 36-ე ტური
26 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 031 | რეალი-ალავესი | 1,45 | 3,4 | 7,5 |
| 01.00 | 032 | ლას პალმასი-სელტა | 2,6 | 3,1 | 2,4 |

27 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 033 | ბილბაო-მალაგა | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 21.00 | 034 | რასინგი-ვალენსია | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 21.00 | 035 | ვილიარეალი-ოსასუნა | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 21.00 | 036 | ნუმანსია-ესპანიოლი | 2,1 | 3,2 | 3,1 |
| 22.00 | 037 | მალიორკა-რაიო ვალეკანო | 1,45 | 3,5 | 7,0 |
| 22.00 | 038 | სარაგოსა-სოსიედადი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 23.00 | 039 | ბარსელონა-ოვიედო | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| 23.00 | 040 | დეპორტივო-ვალიადოლიდი | 1,3 | 4,4 | 8,0 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. 39-ე ტური
26 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 041 | უნივერსიდადი-სევილია | 3,6 | 2,8 | 1,9 |
| 21.30 | 042 | ელჩე-ეიბარი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 21.30 | 043 | ფეროლი-სპორტინგი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 21.30 | 044 | ხაენი-უელვა | 2,5 | 2,8 | 2,7 |

27 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 15.00 | 045 | ატლეტიკო-ლეგანესი | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 21.00 | 046 | ბადახოსი-ალბასეტე | 2,8 | 2,7 | 2,5 |
| 21.00 | 047 | კორდობა-ლეიდა | 1,45 | 3,4 | 6,5 |
| 21.30 | 048 | კომპოსტელა-ლევანტე | 1,85 | 2,8 | 4,0 |
| 22.00 | 049 | ესტრემადურა-მურსია | 1,8 | 2,8 | 4,2 |
| 22.00 | 050 | ტენერიფე-სალამანკა | 1,55 | 3,3 | 6,0 |
| 23.00 | 051 | ბეტისი-ხეტაფე | 1,45 | 3,2 | 6,5 |

### პორტუგალია. I ლიგა. 34-ე ტური
27 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 052 | გიმარაეში-ფარენსე | 1,25 | 3,8 | 4,4 |
| 20.00 | 053 | სპორტინგი-მარიტიმუ | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 20.00 | 054 | ალვერკა-კამპომაიორენსე | 2,0 | 3,5 | 2,0 |
| 20.00 | 055 | ჟილ ვისენტე-ფერეირა | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| 20.00 | 056 | სალგეირუში-ბელენენსეში | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 20.00 | 057 | ავეში-ბენფიკა | 3,4 | 3,2 | 1,8 |
| 20.00 | 058 | პორტუ-ბოავიშტა | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 20.00 | 059 | ბეირა მარი-ამადორა | 1,4 | 3,8 | 6,0 |
| 20.00 | 060 | ბრაგა-ლეირია | 1,55 | 3,3 | 3,8 |

### პორტუგალია. II ლიგა. 34-ე ტური
27 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 061 | იმორტალი-ლეცა | 1,5 | 3,4 | 3,2 |
| 20.00 | 062 | ვარზიმი-ოვარენსე | 1,1 | 5,6 | 10,0 |
| 20.00 | 063 | ფრეამუნდე-ფელგეირაში | 3,2 | 3,4 | 1,5 |
| 20.00 | 064 | აკადემიკა-ნასიონალი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 20.00 | 065 | ლამაში-სანტა კლარა | 3,0 | 1,9 | 2,1 |
| 20.00 | 066 | მარკუ-რიუ ავე | 1,6 | 3,4 | 3,0 |
| 20.00 | 067 | პენაფიელი-შავეში | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 20.00 | 068 | ესპინიუ-მაია | 3,4 | 3,4 | 1,65 |
| 20.00 | 069 | სეტუბალი-ნავალი | 1,15 | 5,6 | 10,0 |

### ჰოლანდია. I დივიზიონი. 34-ე ტური
27 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 070 | ჰერენვენი-ტვენტე | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 17.30 | 071 | უტრეხტი-გრონინგენი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 17.30 | 072 | ნაიმეგენი-პსვ | 3,1 | 3,4 | 1,9 |
| 17.30 | 073 | ვალვაიკი-როდა | 2,4 | 3,5 | 2,1 |
| 17.30 | 074 | სიტარდი-ტილბურგი | 1,8 | 3,4 | 3,3 |
| 17.30 | 075 | სპარტა-ვიტესი | 5,3 | 4,0 | 1,35 |
| 17.30 | 076 | როზენდალი-ფეიენოორდი | 5,0 | 4,0 | 1,5 |
| 17.30 | 077 | გრააფსხაპი-ბრედა | 1,75 | 2,8 | 4,4 |
| 17.30 | 078 | აიაქსი-ალკმაარი | 1,15 | 5,6 | 10,0 |

### ჰოლანდია. II დივიზიონი. 34-ე ტური
26 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 079 | დენ ჰააგი-ჰელმონდი | 2,2 | 3,3 | 2,2 |
| 22.00 | 080 | მაასტრიხტი-ჰერაკლესი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 22.00 | 081 | ტელსტარი-ეინდჰოვენი | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 22.00 | 082 | ვენლო-ზვოლე | 2,9 | 3,2 | 2,0 |
| 22.00 | 083 | ვეენდამი-ოსი | 1,95 | 3,2 | 3,4 |
| 22.00 | 084 | იგლსი-ემენი | 1,45 | 3,6 | 5,6 |
| 22.00 | 085 | ვოლენდამი-კამბური | 1,95 | 3,1 | 3,3 |
| 22.00 | 086 | დენ ბოსხი-დორდრეხტი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 22.00 | 087 | ექსელსიორი-ჰაარლემი | 1,45 | 3,8 | 3,8 |

### ბელგია. II დივიზიონი. პლეი-ოფი. მე-5 ტური
27 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 088 | მოლენბეკი-ტურნჰაუტი | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 22.00 | 089 | გეელი-მონსი | 1,0 | 1,0 | 1,0 |

### საბერძნეთი. 30-ე ტური
26 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 090 | ქსანთი-აეკ | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 22.30 | 091 | ირაკლისი-იონიკოსი | 1,55 | 3,4 | 5,0 |

27 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 092 | ათინაიკოსი-ეთნიკოსი | 2,5 | 3,0 | 1,8 |
| 19.30 | 093 | პანიონიოსი-ოფი | 2,0 | 3,2 | 2,7 |
| 19.30 | 094 | იანინა-პანილიაკოსი | 1,85 | 3,1 | 3,6 |
| 19.30 | 095 | კალამატა-პანათინაიკოსი | 4,7 | 3,6 | 1,4 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 096 | პაოკ-პანაჰაიკი | 1,4 | 3,8 | 3,8 |
| 21.30 | 097 | არისი-ოლიმპიაკოსი | 2,3 | 3,0 | 2,0 |

**ჩეხეთი. 30-ე ტური**
**25 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 098 | ბლშანი-ტეპლიცე | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 19.30 | 099 | სპარტა-სიგმა | 1,55 | 4,0 | 5,0 |
| 19.30 | 100 | ბანიკი-პრჟიბრამი | 2,5 | 3,2 | 2,3 |
| 19.30 | 101 | ლიბერეცი-ბრნო | 1,45 | 4,0 | 5,6 |
| 19.30 | 102 | ბოჰემიანსი-ჟიჟკოვი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 19.30 | 103 | პლზენი-იაბლონეცი | 2,0 | 2,0 | 2,5 |
| 19.30 | 104 | სინოტი-ბუდეიოვიცე | 1,6 | 3,5 | 4,7 |
| 19.30 | 105 | დრნოვიცე-სლავია | 3,6 | 3,6 | 1,5 |

**თურქეთი. 34-ე ტური**
**25 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 106 | ისთანბული-რიზე | 2,1 | 3,2 | 2,9 |
| 19.00 | 107 | ბურსა-ანკარა | 2,1 | 3,0 | 3,1 |
| 21.00 | 108 | ერზურუმი-გაზიანთეფი | 6,0 | 3,5 | 1,4 |
| 21.00 | 109 | დენიზლი-ბეშიქთაში | 4,0 | 3,4 | 1,7 |

**26 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.30 | 110 | იეთფა-იოზგათი | 2,4 | 3,2 | 1,7 |
| 19.00 | 111 | ქოჯაელი-ადანა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 19.00 | 112 | გენჩლერბირლიგი-ანთალია | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 21.00 | 113 | სამსუნი-ფენერბაჰჩე | 4,2 | 2,2 | 1,7 |
| 21.00 | 114 | გალათასარაი-ტრაბზონი | 1,25 | 3,8 | 7,0 |

**შვეიცარია. A ჯგუფი. მე-14 ტური**
**26 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.15 | 115 | სიონი-ლუგანო | 3,5 | 3,2 | 1,9 |
| 23.15 | 116 | ბაზელი-სერვეტი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 23.15 | 117 | ციურიხი-ლოზანა | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 23.15 | 118 | სენტ გალენი-გრასჰოპერი | 2,4 | 3,0 | 2,7 |

**შვეიცარია. A/B ჯგუფი. მე-14 ტური**
**26 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 119 | იანგ ბოისი-ვილი | 1,65 | 3,3 | 4,7 |

**27 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.15 | 120 | ბელინცონა-არაუ | 2,7 | 3,2 | 2,3 |
| 19.15 | 121 | ივერდონი-ქსამაქსი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.15 | 122 | ლუცერნი-ვინტერთური | 1,65 | 3,3 | 4,7 |

**შვეიცარია. B ჯგუფი. მე-14 ტური**
**26 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 123 | ვანგენი-კრინსი | 1,9 | 3,3 | 3,2 |
| 20.30 | 124 | ბადენი-ლოკარნო | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 20.30 | 125 | სოლოთურნი-დელემონი | 2,5 | 3,2 | 2,3 |
| 20.30 | 126 | კარუჟი-თუნი | 2,2 | 2,0 | 3,2 |

**დანია. 31-ე ტური**
**27 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 127 | ოლბორგი-მიდტიულანდი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 18.00 | 128 | აკადემისკი-ვიბორგი | 2,2 | 3,1 | 2,8 |
| 18.00 | 129 | ჰადერსლევი-ჰერფიოლგე | 3,3 | 3,5 | 1,85 |
| 18.00 | 130 | ოდენსე-ორჰუსი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 18.00 | 131 | კოპენჰაგენი-ლიუნგბიუ | 1,45 | 3,5 | 6,0 |
| 20.05 | 132 | სილკებორგი-ბრიონდბიუ | 2,4 | 3,2 | 2,4 |

**რუსეთი. მე-11 ტური**
**25 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 133 | ლოკომოტივი-ზენიტი | 1,65 | 3,1 | 4,7 |

**26 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 134 | ფაკელი-ზილ | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 16.00 | 135 | დინამო-როსტსელმაში | 1,65 | 3,1 | 4,7 |
| 16.00 | 136 | ტორპედო-სპარტაკი | 3,0 | 3,0 | 1,9 |
| 16.00 | 137 | ალანია-ჩერნომორეცი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| 16.00 | 138 | ანჟი-სოკოლი | 1,85 | 2,9 | 3,8 |
| 18.00 | 139 | კრილია-როტორი | 1,55 | 3,2 | 5,6 |
| 19.00 | 140 | სატურნი-ცსკა | 2,7 | 3,0 | 2,1 |

**შვედეთი. მე-8 ტური**
**27 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 141 | სუნდსვალი-იურგორდენი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 20.00 | 142 | ჰალმსტადი-ნორჩიოპინგი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 20.00 | 143 | მალმიო-ჰამარბი | 2,4 | 3,1 | 2,6 |

**28 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 144 | აიკ-ჰეკენი | 1,45 | 3,8 | 6,5 |
| 22.00 | 145 | ჰელსინგბორგი-ტრელებორგი | 1,45 | 3,8 | 6,5 |
| 22.00 | 146 | ელფსბორგი-იორებრო | 1,95 | 3,2 | 3,4 |
| 23.00 | 147 | იორგრიტე-გიოტებორგი | 2,7 | 3,2 | 2,2 |

**ფინეთი. მე-9 ტური**
**27 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 148 | ატლანტისი-როვანიემი | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 20.30 | 149 | ლაჰტი-იოკერიტი | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 20.30 | 150 | მიუპა-კუოპიო | 1,0 | 1,0 | 1,0 |

**28 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 151 | ჰიკ-ინტერი | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 20.30 | 152 | ტამპერე-ჰაკა | 1,0 | 1,0 | 1,0 |

**გერმანია. თასის ფინალი (ბერლინში)**
**26 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 153 | შალკე-უნიონი | 1,35 | 4,0 | 7,5 |

**საფრანგეთი. თასის ფინალი (პარიზში)**
**26 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 154 | სტრასბური-ამიენი | 1,6 | 3,3 | 5,0 |

**ბელგია. თასის ფინალი (ბრიუსელში)**
**27 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.15 | 155 | ვესტერლო-ლომელი | 1,8 | 3,3 | 3,6 |

**ჩეხეთი. თასის ფინალი (პრაღაში)**
**28 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 156 | სპარტა-ჟიჟკოვი | 1,4 | 3,6 | 6,5 |

**პოლონეთი. ლიგის თასის ფინალი. I მატჩი**
**26 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 157 | ზაგლებე-ვისლა | 2,5 | 3,0 | 2,5 |

**შოტლანდია. თასის ფინალი**
**26 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 158 | სელტიკი-ჰიბერნიანი | 1,5 | 3,5 | 6,0 |

**ავსტრია. თასის ფინალი (ვენაში)**
**27 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 159 | ტიროლი-კარნტენი | 1,35 | 3,8 | 7,0 |

**შვედეთი. თასის ფინალი. (იონკოპინგში)**
**25 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 160 | აიკ-ელფსბორგი | 1,85 | 3,2 | 3,6 |

**ამხანაგური მატჩი**
**25 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 501 | ინგლისი-მექსიკა | 1,35 | 3,8 | 7,0 |

**კალათბურთი**
**25 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 06.00 | 801 | ლოს ანჯელესი-სან ანტონიო | 1,3 | 12,0 | 2,8 |

**26 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 02.30 | 802 | მილუოკი-ფილადელფია | 1,6 | 12,0 | 1,8 |

**27 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 02.30 | 803 | ლოს ანჯელესი-სან ანტონიო | 1,0 | 1,0 | 1,0 |

**28 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 02.30 | 804 | მილუოკი-ფილადელფია | 1,0 | 1,0 | 1,0 |

## კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;
ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);
წინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)
გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან")
წერეთლის გამზირი №11;
ჭავჭავაძის გამზირი №41

ქუთაისი — პუშკინის ქუჩა№16 (ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში)
ფალიაშვილის ქუჩა № 27

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა№30

თელავში — კოსტავას ქუჩა №23.

რუსთავში — შარტავას ქუჩა №7

ბათუმში — მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №21;
ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61

მარნეულში — რუსთაველის ქუჩა №39

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# ფილა გერმანიას ორმაგად შერტყამს

## ლაიპოლდი მედლის დაბრუნებას სასამართლოს ძალით აპირებს



ავთანდილ გურასპაშვილის ფოტო

ალექსანდრ ლაიპოლდი აწ უკვე ჩამორთმეულ სიდნეის ოლიმპიადის ოქროს მედალს გემოს უსინჯავს

### ლაიპოლდი ჩემპიონი

სიდნეის ოლიმპიურ ხალიჩაზე 76 კილოგრამამდე წონითი კატეგორიის თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ასპარეზობები მიმდინარეობს. ჯგუფურ ტურნირში მარცხის შემდეგ შეჯიბრებას გამოეთიშა ოლიმპიადის ერთ-ერთი ფავორიტი, ატლანტის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, რუსი ბუვაისა საიტიევი. ამის შემდეგ ყურადღების ცენტრში ასევე ერთ-ერთი ფავორიტი, გასული საუკუნის ბოლო ათწლეულის გერმანიის საუკეთესო ფალავანი და ყველაზე ტიტულოვანი სპორტსმენი ალექსანდრ ლაიპოლდი ექცევა. 80-იანი წლების ბოლოდან მოყოლებული იგი თითქმის ყველა ოფიციალური სტატუსის მქონე ტურნირის თუ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების გამარჯვებული ან პრიზიორია. მას სიდნეის ოლიმპიადამდე სპეციალისტები მედლის ერთ-ერთ პრეტენდენტად მოიაზრებენ.

ფინალური პაექრობისას არიელი ფალავანი ამერიკელ ბრენდონ სლეის ხვდება — 4:0! ლაიპოლდი სიდნეის ოლიმპიადის ჩემპიონია! მსაჯობით უკმაყოფილო ამერიკელები პროტესტს ოფიციალურად აცხადებენ. მიუხედავად ამისა, ოქრო მაინც გერმანელს გადაეცა. მოგვიანებით დოპინგზე ტესტირებამაც არ დააყოვნა.

### ნაადრევი სიხარული ანუ A+B=ნანდროლონი

დღესასწაული დიდხანს არ გაგრძელებულა. სკანდალი ოლიმპიადის გასრულების შემდეგ იწყება. ფინალის შემდეგ აღებულ დოპინგის სინჯ A-ში ლაიპოლდს აკრძალული პრეპარატი აღმოუჩინეს. იგივე განმეორდა საკონტროლო სინჯ B-შიც. გერმანელი დამნაშავედ ცნეს. სპეციალისტები გაოცებას ვერ მალავენ, მათ ვერ წარმოუდგენიათ, რაში დასჭირდა ლაიპოლდს ნანდროლონის მიღება, რადგან თავისუფალი სტილით მოჭიდავეებს ეს უკანასკნელი არანაირ უპირატესობას არ ანიჭებს. ბუნებრივია, როგორც ასეთ დროსაა მოსალოდნელი, სპორტსმენი ყველაფერს უარყოფს და აცხადებს, რომ მას შეგნებულად არ მიუღია აკრძალული პრეპარატი. ტესტირებაზე დადებითი პასუხის პასუხი საკვებში უნდა ვეძებოთო.

ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციას (ფილა) ეს სულაც არ ანაღვლებს — ოქროს მედალს ართმევს, თან ორწლიან დისკვალიფიკაციასაც აძლევს. ამერიკელები ალბათ გუნებაში ფიქრობენ, სამართალმა პური ჭამაო.

### ლაიპოლდი არ ნებდება

გერმანელი ფილა-ს გადაწყვეტილებით უკმაყოფილოა. მოჭიდავე მათ არ ემორჩილება და ვარჯიშს აგრძელებს. თავის უდანაშაულობის დასამტკიცებლად იგი სასამართლოს მიმართავს. ლაიპოლდს მხარში უდგას გერმანიის ჭიდაობის ფედერაციაც (დრბ). მეტიც, ფედერაციის ხელმძღვანელობა ფილას წინააღმდეგ მიდის და მოჭიდავეზე შიდა ჩემპიონატებზე დისკვალიფიკაციას არ ავრცელებს. მაგრამ არც ამას დასჯერდნენ: მიმდინარე სეზონში ლაიპოლდი ქვეყნის ჩემპიონატში და გერმანიის ტერიტორიაზე გამართულ ერთ-ერთ საერთაშორისო ტურნირზეც ასპარეზობს. როგორც მოსალოდნელი იყო, იმარჯვებს კიდეც.

### ფილა განრისხებულია

ჭიდაობის მმართველი ორგანო ძალის დემონსტრირებას იწყებს. ურჩ ფედერაციას გაკვეთილს უტარებს. ფილა-ს გაკვეთილი დამღუპველი აღმოჩნდა, როგორც დრბ-სთვის, ისე ქვეყნისთვის.

პირველი: ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია გერმანიის თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებს ნიუ იორკის სასექტემბრო მსოფლიოს ჩემპიონატზე ასპარეზობას ვეტოს ადებს.

მეორე: 2003 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობის კანდიდატ ლაიფციგს რეგისტრაციაზე უარს ეუბნება. მიზეზი გერმანიის ჭიდაობის ფედერაციის კატეგორიული უარია, ალექსანდრ ლაიპოლდს ევროპულ სარბიელზე დისკვალიფიკაცია მისცეს.

„ეს კიდევ ერთი სერიოზული დარტყმაა, მაგრამ მე და ალექსანდრი გამარჯვებამდე ვიბრძოლებთ“ — განაცხადა დრბ-ს პრეზიდენტმა ჰელმუტ პაულმა მას შემდეგ, რაც ამ რამდენიმე დღის წინ ფილა-ს გადაწყვეტილება აცნობეს.

ამგვარი გადაწყვეტილებით დამწუხრებულა ლაიპოლდიც, თუმცა იმედს მაინც არ კარგავს.

„ძალიან სამწუხაროა. ეტყობა, ფილა-ს არ მოსწონს, რომ თავს უდანაშაულოდ ვგრძნობ. მე ყოველთვის ვცდილობდი, სამაგალითო ათლეტი ვყოფილიყავი. ყველაფერი მას შემდეგ შეიცვლება, როდესაც ჩემს ოქროს მედალს უკან დავიბრუნებ“ — განაცხადა გერმანიის ადგილობრივ რადიოსადგურ SWR1-თან საუბარში 31 წლის ლაიპოლდმა, რომელიც 3 ივლისის სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოს იმედის თვალით შეჰყურებს.

**გიგა გურასპაშვილი**

# მარკო პოლო და ქართველი ქურდები

**საქართველოში** გადის გზები, მაგალითად, აბრეშუმისა და ამიტომ ჩვენს ქვეყანას წარსულში ხომ ჰქონდა და მომავალშიც დიდი სატრანზიტო პერსპექტივა ელის. ამის სიმბოლური ნიშანი იტალიელ ველომრბოლთა აქცია „მარკო პოლო 2001“ გახლდათ, რომელიც ვენეციაში დაიწყო და პეკინში უნდა დამთავრდეს, რაც რვა საუკუნის წინათ მარკო პოლოს შესრულებული მარშრუტის განმეორება იქნება. გზის ერთი ეტაპი საქართველოზე გადიოდა. იტალიელები სარფის საბაჟოს 19 მაისს გამოსცდნენ, ბათუმიდან სამტრედიაში მივიდნენ, ქუთაისში სურათები გადაიღეს (იხილეთ 23 მაისის „სარბიელი“) და თბილისს მოსულები გლდანის სპორტსკოლაში დაბინავდნენ, რათა იქიდან აზერბაიჯანისკენ წასულიყვნენ.

აღსანიშნავი ამბავი სწორედ გლდანში მოხდა. 22 მაისს, დილის 4 საათზე, საქართველოს მავანმა მოქალაქეებმა გატეხეს სათავსო, სადაც სტუმართა ამუნიცია და ველოსიპედები ელაგა, მოიპარეს ორი სათადარიგო ველოსიპედი და ამუნიციის მოზრდილი ნაწილი. იტალიელთა გეგმები ამან ვერ არია, ისინი უკვე გასცდნენ საქართველოს საზღვრებს და პეკინისკენ ძველებურად მხნედ მიიწევენ, პოლიცია კი გამოძიებას შეუდგა.

**დავით გულუა**



მამუკა დარჩიას ფოტო

იტალიელი სტუმრები საქართველოში თბილადაც მიიღეს და გაძარცვეს კიდეც



# პრივილეგიანი

**WBC-ს** ქვესაშუალო წონის ჩემპიონს ხავიერ კასტელიხოს რინგზე ცნობილი ოსკარ დე ლა ჰოია იწვევს. ეს ბრძოლა 23 ივნისს არის დანიშნული და ბილეთები უკვე იყიდება. როგორც იტყობინებიან, ბილეთების ფასია 800, 250 და 100 დოლარი. მოკრივეები ერთმანეთს MGM გრანდ ოტელ-კაზინოში შეებრძოლებიან.

თუ დე ლა ჰოია გაიმარჯვებს, რეი შუგარ ლეონარდისა და თომას ჰერნსის შემდეგ გახდება მესამე, ვისაც მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული ხუთ სხვადასხვა წონით კატეგორიაში მოუპოვებია.

აღსანიშნავია, რომ „ოქროს ბიჭად“ ცნობილ დე ლა ჰოიას, რომლის კარიერშიც 33 გამარჯვებიდან 27 ნოკაუტით იყო, ხოლო დამარცხებით მხოლოდ ორჯერ დამარცხებულა, ლას ვეგასში, 24 მარტს, მონრეალელ არტურო გატისთან ჩხუბის შემდეგ ხელთათმანი აღარ მოურგია.

კასტელიხო კი ესპანელია, მადრიდელი. რაც ჩემპიონი გახდა, ტიტული ხუთჯერ დაიცვა, ხოლო მისი კარიერა 51 გამარჯვებისგან (34 ნოკაუტით) და 4 მარცხისგან შედგება. ბოლოს კასტელიხომ ტიტული 2000 წლის 21 ოქტომბერს, ხავიერ მარტინესისგან დაიცვა.

კასტელიხო ფიზიკურად ძლიერია, ბოლოს 1996 წლის იანვარში წააგო, რის შემდეგაც ზედიზედ 14 გამარჯვებიდან 11 ნოკაუტით იზეიმა.




ოსკარ დე ლა ჰოია საჩხუბრად იწევს

* * *

**ამერიკის** შეერთებული შტატების სასამართლომ წინააღმდეგობა არ გაუწია დონ კინგის გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, რომ მსოფლიოს უდავო ჩემპიონი, WBC-ს, IBF-სა და IBO-ს ქამრების მფლობელი ჰასიმ რაჰმანი ტიტულს 5 აგვისტოს, ჩინეთის დედაქალაქ პეკინში დაიცავს.

დონ კინგმა განაცხადა, რომ ეჭვი აღარ ეპარება ორი ბრძოლის მოწყობაში: 3 აგვისტოს ჯონ რუისი ევანდერ ჰოლიფილდის წინააღმდეგ (ეს ბრძოლა იმავე მძიმე წონაში WBA-ს ტიტულისთვის გაიმართება) და 4 აგვისტოს ჰასიმ რაჰმანი ბრაიან ნილსენის წინააღმდეგ.

ამაოდ ცდილობდნენ ყოფილი ჩემპიონი მაიკ ტაისონი და IBF-ის ვერსიით ნომერ პირველი პრეტენდენტი დავიდ ტუა დონ კინგის წამოწყების ჩაშლას.

„რემატჩი ლუისს ეკუთვნის, მაგრამ რამდენადაც მე ვიცი, რაჰმანს სრული უფლება აქვს ამ რემატჩამდე ერთი ბრძოლა თავისთვის გამართოს და ჩემპიონმაც დიდი ჩინელი ხალხის წინაშე წარდგომა გადაწყვიტა. სასამართლოს სხვანაირად რომ განესაჯა, ხმის ამომღები არ ვიყავი, მაგრამ, ხომ ხედავთ, წინააღმდეგი არ წასულა“ — განაცხადა პრომოუტერმა.

* * *

**როგორც** ირკვევა, დონ კინგმა საკრივო სამყაროს გზა-კვალი აურია. კერძოდ, გაქნილმა პრომოუტერმა კონტრაქტი გაუფორმა მსოფლიოს ახალ მძიმეწონოსან, უდავო ჩემპიონს ჰასიმ რაჰმანს და ამ კონტრაქტის თანახმად რაჰმანის ბრძოლათა გაყიდვის ექსკლუზიური უფლება დაიბევა. მაშ, ცნობილ და კონკურენტ საკაბელო ტელეკომპანიებს, HBO-სა და „შოუთაიმს“ რაღა? რა და ერთადერთი, რაც ამჟამად ხელთ შერჩათ — შეთანხმდნენ და თავიანთი მოკრივეები, მაიკ ტაისონი და ლენოქს ლუისი ერთმანეთთან აჩხუბონ.

მაშ ასე, რაჰმანის ბრძოლათა ბატონ-პატრონი გახლავთ დონ კინგი, რომელსაც არც „შოუთაიმი“ სჭირდება და არც HBO. პირიქით, ის რომ რაჰმანს ბრძოლას მოუწყობს, ტელეკომპანიებმა უნდა ინებონ კეთილი და იმ ბრძოლის ტრანსლაციაში გვარიანი თანხა გადაიხადონ.

როგორც ჩანს, ზემოხსენებული ტელეკომპანიები დროულად უნდა მოგებოდნენ გონს და, მიუხედავად იმისა, რომ რაჰმანი შემთხვევით ჩემპიონად მიაჩნდათ, მასთან ხელშეკრულების გაფორმებას დაშურებოდნენ.

მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თუ „შოუთაიმი“ და HBO გარიგებას შეძლებენ და დონ კინგის ოინს ტაისონ-ლუისს დაუპირისპირებენ, ფაქტია, მსოფლიოს ყურადღება (რასაკვირველია, დიდძალი ფულიც) მათკენ გადაიხრება. ბოლოს და ბოლოს დღევანდელ კრივში ხომ ერთი რამ არის მთავარი: ლენოქს ლუისი მაიკ ტაისონის წინააღმდეგ.

* * *

**როდესაც** კრივზეა საუბარი და ლუისის გვარს ახსენებენ, გვგონია, რომ ამბავი დიდ ჩემპიონს ეხება, მაგრამ დახეთ ოინს, ლუისი მარტო ლენოქსი არ გახლავთ. არის კიდევ ერთი ლუისი, ვეტერანი კაცი, სახელად ტერენსი, რომელმაც სან ფრანცისკოში „პიერ 32“-ში, მეცხრე რაუნდში, რობერტ დევისი დაანოკაუტა და, როგორც ამბობენ, მის კარიერას სერიოზული დარტყმა მიაყენა.

მიმომხილველთა დაკვირვებით ცხრა რაუნდმა თავად ლუისიც გვარიანად დაღალა, მაგრამ იღბლად, მისმა მოქნეულმა მარცხენა ჰუკმა მეტოქე რინგზე გაშოტა და მსაჯებიც ქულების თვლისა და შეჯამების დამღლელ პროცედურას გადარჩნენ.

დღეისათვის ტერენს ლუისის კარიერა 28 გამარჯვებასა და 8 მარცხს ითვლის.

**ტუტა სიხარულიძე**

# ჩაშლილი რეპეტიცია


AP დიუსელდორფიდან

მარატ საფინი სამპრასის დამარცხებამ გაახარა

დიუსელდორფი (გერმანია)
ATP-ის მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი
თიხნარი. საპრიზო 2,1 მილიონი $

უკვე რამდენიმე წელია, როლან გაროსის წინ საყვარელ სარეპეტიციო ადგილად ATP-ის ბევრი ბობოლასთვის დიუსელდორფის შემოგარენში მწვანეში ჩაფლული საჩოგბურთო კომპლექსი რჩება. ტრადიციულ „მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატზე“ საკლასიფიკაციო ქულებს არ არიგებენ და დაძაბულობაც ნაკლებია, ამასთან თითოეულ მოთამაშეს მინიმუმ სამ ძლიერ მეტოქესთან გაჯიბრება და წარმატების შემთხვევაში გვარიანი საპრიზოებიც აქვს გარანტირებული.

გერმანულ ანკესზე კაცი ვარსკვლავები, როგორც წესი, დიდი სიამოვნებით ეგებიან ლაყუჩებით და ამჯერადაც დიუსელდორფში თითქმის მთელმა საუკეთესოთა ათეულმა მოიყარა თავი.

**წითელი ჯგუფი**

I ტური

**საფრანგეთი 3:0 რუსეთი**

**აშშ 2:1 არგენტინა**

II ტური

**რუსეთი 3:0 აშშ**

**მარატ საფინი (რუსეთი) — პიტ სამპრასი (აშშ) 7:6 (7:0), 7:5; ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) — ჟან-მაიკლ გემბილი (აშშ) 6:4, 5:7, 6:2; საფინი და კაფელნიკოვი — ენდი როდიკი და სკოტ ჰამფრიზი 7:6 (7:0), 7:6 (7:4)**

მეორე ტურში ყველაზე დიდ ინტერესს შარშანდელი აშშ-ის ღია პირველობის ფინალისტების — მარატ საფინისა და პიტ სამპრასის შეხვედრა იწვევდა. 21 წლის ზორბა რუსი, რომელიც ორი დღით ადრე სებასტიან გროჟანთან მატჩში მსაჯის კოშკურისთვის წიხლის ჩარტყმის გამო კინალამ საერთოდ გააგდეს ტურნირიდან, საუკეთესო ფორმაში ნამდვილად არ გახლავთ, თუმცა არც სამპრასია დიდი ხვითო თიხნარის საფარზე.

უამრავი შემოკლებულითა და ხშირი შეცდომებით სავსე შეხვედრაში, როგორც მოსალოდნელი იყო, საფინმა იმარჯვა და დასრულებისთანავე მონტე კარლოში, სპორტული ოსკარის — „ლორუს“ საზეიმო ცერემონიალზე გაეშურა „წლის საუკეთესო ახალბედას“ ჯილდოს მისაღებად.

ჟურნალისტებს მხოლოდ სამპრასიღა შერჩათ ხელში და ამერიკელმაც ხანგრძლივად ისაუბრა კარიერაში ერთადერთი დაუპყრობი მწვერვალის — როლან გაროსის მოგების თაობაზე. არც მეტოქეებს და არც მასმედიის წარმომადგენლებს არ სჯერათ, რომ „პისტოლ პიტი“ პარიზში რაიმეს მაქნისია, თუმცა ამერიკელი იხტიბარს არ იტეხს და სამულველ საფარზე ყოველწლიურად დონ კიხოტივით ილაშქრებს: „პარიზში, უბრალოდ, არასოდეს მიმართლებდა. ამას რომ ვამბობ, ეგებ საკუთარ თავზე დიდ ზეწოლას ვახდენ, მაგრამ იმედი მაქვს, წლეულს ნავსს გავტეხ. მერვე უიმბლდონის ტიტულს ნამდვილად აქ მოგება მირჩევნია“.

**არგენტინა 2:1 საფრანგეთი**

**სებასტიან გროჟანი (საფრანგეთი) — ფრანკო სკილარი (არგენტინა) 6:1, 7:6 (7:5); მარიანო პუერტა (არგენტინა) — არნო კლემანი (საფრანგეთი) 6:3, 6:1; ლუკას არნოლდი და მარტინ გარსია — კლემანი და მიშელ ლოდრა 4:6, 6:0, 6:3**

**ლურჯი ჯგუფი**

I ტური

**გერმანია 2:1 შვედეთი**

**ავსტრალია 2:1 ესპანეთი**

II ტური

**ავსტრალია 3:0 შვედეთი**

**ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) — მაგნუს ნორმანი (შვედეთი) 6:1, 6:2; პატრიკ რაფტერი (ავსტრალია) — ტომას ენკვისტი (შვედეთი) 6:3, 6:3; უეინ არტურსი და სკოტ დრეიპერი — ენკვისტი და ნიკლას კულტი 7:5, 7:5**

შარშან ამ დროს მაგნუს ნორმანს ქალთა მსოფლიოს პირველ ჩოგან მარტინა ჰინგისთან ჰქონდა გაჩაღებული რომანი და საფრანგეთის ღია პირველობის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტადაც ითვლებოდა. ახლა, 12 თვის თავზე, 24 წლის შვედს ბოლო ათიდან 8 მატჩი აქვს წაგებული, თავდაჯერების ნატამალიც აღარ შერჩა და არავის გაუკვირდება, თუ პარიზშიც პირველ ან მეორე წრეში ააკვრევინებენ გუდა-ნაბადს.

ოთხშაბათს ლეიტონ ჰიუიტის წინააღმდეგ ნორმანი სრულებით უსუსურად გამოიყურებოდა და უწყინარ სიტუაციებში საოცრად ხშირად სცოდავდა. საბოლოოდ ავსტრალიელმა საათზე ოდნავ მეტში იმარჯვა და თავი როლან გაროსზე გაჩემპიონების ერთ-ერთ პრეტენდენტადაც შერაცხა.

მხრის ტრავმით გამოწვეული ექვსკვირიანი პაუზის შემდეგ დიუსელდორფში დაუბრუნდა ასპარეზობას აშშ-ის ღია პირველობის ორგზის ჩემპიონი პატრიკ რაფტერი. კიკინამოპარსულ ოზს ამ ხნის მანძილზე თმა-წვერი გვარიანად მოეზარდა, თუმცა სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობა ნამდვილად არ დასტყობია. პირველ ტურში ხუან ბალსელსი, ამჯერად კი ტომას ენკვისტიც რაფტერმა სულ იოლად გააბითურა: „ჩვეულებრივ ამხელა შესვენებების შემდეგ ასე კარგად არ ვთამაშობ. საკუთარ თავსაც კი ვაოცებ, დღეს კორტზე ერთი-ორჯერ გამეცინა კიდეც“.

**ესპანეთი 2:1 გერმანია**

**ხუან ბალსელსი (ესპანეთი) — ნიკოლას კიფერი (გერმანია) 6:4, 6:2; ალექს კორეჩა (ესპანეთი) — ტომი ჰაასი (გერმანია) 6:3, 6:3; ჰაასი და დევიდ პრინოზილი — ბალსელსი და ალექს ლოპეს მორონი 6:3, 6:2**

*ჯგუფებში გამარჯვებულები შაბათს ფინალში შეხვდებიან ერთმანეთს.*

მადრიდის (ესპანეთი)
ღია პირველობა
თიხნარი საპრიზო 170 ათასი $

პატრიკ რაფტერისგან განსხვავებით, მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგან მონიკა სელეშს ტრიუმფალური დაბრუნება არ გამოუვიდა. ფეხის სერიოზული ტრავმის გამო თითქმის სამი თვით დასვენებულ ამერიკელს მადრიდის ტურნირის მეორე წრეში (პირველიდან მონიკა გათავისუფლებული გახლდათ) პარაგვაელმა მომუშავე დედამ, როსანა დე ლოს რიოსმა აჯობა 7:5, 2:6, 6:4

„ტრავმა ბოლომდე მოვირჩინე, მაგრამ ჯერჯერობით ჩვეულ ფორმამდე ბევრი მიკლია. ვარჯიში სულ სამი დღის წინ დავიწყე და დღევანდელ მატჩში ეს ძალიან კარგად მეტყობოდა. ახლა პარიზში გავემგზავრები და მთელ დარჩენილ დროს კორტზე გავატარებ“ — განაცხადა როლან გაროსის სამგზის ჩემპიონმა სელეშმა.

**მეორე წრე: არანჩა სანჩეს-ვიკარიო (2, ესპანეთი) — ბარბარა რიტნერი (გერმანია) 7:6 (7:4) — ტრავმა; სანდრინ ტესტიუ (3, საფრანგეთი) — იულია ვაკულენკო (უკრაინა) 6:0, 6:4; მაგი სერნა (7, ესპანეთი) — კარა ბლექი (ზიმბაბვე) 6:4, 4:6, 6:1**

სტრასბურის (საფრანგეთი)
საერთაშორისო პირველობა
თიხნარი. საპრიზო 170 ათასი $

**მეორე წრე: აი სუგიამა (იაპონია) — ამანდა კუტცერი (1, სამხრეთ აფრიკა) 6:4, 6:4; ნატალი ტოზია (2, საფრანგეთი) — მეილენ ტუ (აშშ) 3:6, 6:3, 6:4; იროდა ტულიაგანოვა (უზბეკეთი) — მარი პიერსი (3, საფრანგეთი) 3:6, 6:3, 6:1; ანკე ჰუბერი (4, გერმანია) — ბიანკა ლამადე (გერმანია) 6:7 (4:7), 6:1, 6:2; მეგან შონესი (5, აშშ) — სელიმა სფარი (ტუნისი) 6:2, 6:2**

**ავთანდილ სვანიძე**


AP მადრიდიდან

მონიკა სელეში ჯანზე ვერ არის



### ჯირო დ'იტალია

# წაიქცა, დაელოდნენ, დაეწივნენ

**„ჯიროს“** მეხუთე ეტაპი, რომლის დროსაც მრბოლები მრავალჯერ წაიქცნენ, იტალიელმა ივან კარანტამ მოიგო. საერთო ჩათვლაში ლიდერობა და ვარდისფერი მაისურა მისმა თანამემამულე დარიო ფრიგომ შეინარჩუნა, რადგან პელოტონს 229 კილომეტრის მანძილზე ერთი გორაკიც კი არ შეხვედრია.

ისევე როგორც მის წინამორბედ ლიდერს, ბელგიელ რიკ ვერბრიუგეს, ფრიგოსაც შეეშალა ხელი წაქცევებით. ფინიშამდე 45 კილომეტრით ადრე ერთ-ერთი ასეთი მომენტისას იგი ზედახორაში მოყვა. ერმან ბუენაორას ველოსიპედის ბორბალი გატყდა, რის გამოც ბევრი მრბოლი ასფალტზე აღმოჩნდა.

ფრიგოს ყველა თავისი თანაგუნდელი დაელოდა და მთელი „ფასა ბორტოლო“ ერთიანად გაეკიდა პელოტონს. დევნა წარმატებით დასრულდა და ფრიგომ ფინიში მთავარ ჯგუფთან ერთად გაადკვეთა. ყველაზე მეტად წაქცევისას ბუენაორა დაშავდა, რომლის მარცხენა მუხლსაც „ჯიროს“ ექიმები კარგა ხანს წამლობდნენ.

დღის მთავარი შეტევა გობიმ წამოიწყო 45-ე კილომეტრზე. მან აქამდეც რამდენჯერმე სცადა გაქცევა, მაგრამ ყოველთვის წარუმატებლად. 24 წლის მრბოლს არც ამჯერად გაუმართლა. მას მალე შეუერთდა კაზაროტო და დუეტმაც მაშინვე გაზარდა უპირატესობა. 106-ე კილომეტრზე ისინი პელოტონს 8 წუთსა და 15 წამს უგებდნენ, მაგრამ სპრინტერთა გუნდების აქტიურობამ ეს დრო უმალ გააქარწყლა და ეტაპის ბედიც ჯგუფურმა სპრინტმა გადაწყვიტა.

ნეტუნოს ქუჩებში ყველას კარანტამ აჯობა და კარიერაში მეხუთე ჯიროული ეტაპი მოიგო. აქამდე მას 1999 და 2000 წლებში ორ-ორჯერ გაემარჯვა. თანაც ორი წლის წინ ვარდისფერი მაისურაც პირველად სწორედ მას ეცვა.

**გაგი გურული**

**მეხუთე ეტაპი**
აველინო — ნეტუნო. 229 კმ

1. ივან კარანტა (იტალია, ალექსია) 5 სთ 19 წთ 17 წმ
2. მარიო ჩიპოლინი (იტალია, საეკო)
3. მორენო დი ბიაზე (იტალია, მობილვეტა)
4. იერონ ბლიილევენსი (ჰოლანდია, ლოტო)
5. ზორან კლემენჩიჩი (სლოვენია, ვინი კალდიროლა) ყველას იგივე დრო

**საერთო ჩათვლა**

1. დარიო ფრიგო (იტალია, ფასა ბორტოლო) 22 სთ 50 წთ 19 წმ
2. აბრაამ ოლანო (ესპანეთი, ონსე) +12 წმ
3. ჯილბერტო სიმონი (იტალია, ლამპრე) +13
4. ვლადიმირ ბელი (იტალია, ფასა ბორტოლო) +17
5. ჟოზე აზევედო (პორტუგალია, ონსე) +19



### მერიდის ტურნირი

# დასავლეთის პირამიდებთან

**სანამ** ასტანის სუპერტურნირის მონაწილეები გიჟური სტარტის შემდეგ სულს იბრუნებენ (დასვენების დღე აქვთ), შორს, მექსიკურ მერიდაში რიგით მეორე საერთაშორისო ტურნირი დამთავრდა.

იუკატანას ნახევარკუნძული, მაიას ტომის მიწა გახლავთ ის სარბიელი, სადაც ისტორიაში მიმავალი ტრადიციული სუპერტურნირების ნაცვლად კიდევ ერთი ახალი ტურნირი აღმოცენდა სასახელო შემადგენლობითა და მრგვალი საპრიზო ფონდით. მექსიკელები ბოლო წლებში ჭადრაკისადმი ცხოველ ინტერესს იჩენენ და თუ მერიდას პირველი ტურნირისთვის „სარბიელში“ ადგილი არ მიგვიჩენია, მეორეს უყურადღებოდ ვერ დავტოვებთ, რადგან მასში ვიშვანათან ანანდმა, ალექსანდრ ხალიფმანმა და ნაიჯელ შორტმა ითამაშეს. მეოთხე მონაწილე უძლიერესი ადგილობრივი დიდოსტატი, ხილბერტო ერნანდესი გახლდათ, რომელიც ბოლო ადგილზე კი გავიდა, მაგრამ ტურნირს თავისი კვალი დაატყო.

პარტიები ორ წრედ, ანუ ექვს ტურად მოეწყო. უკვე პირველ ტურში მთავარი ამბავი მოხდა: ერთმანეთს ფიდეს მოქმედი და ექსჩემპიონები შეხვდნენ. ანანდი თეთრებით იყო და ვაჟკაცურად შეუტია, მაგრამ ხალიფმანმა ერთხელაც უჩვენა, რომ აზრი ელიტისა და დანარჩენი მსოფლიოს არსებობის შესახებ ხანდახან არაზუსტია და ნახევარი ქულა გამოიმუშავა. შემდგომ ტურებში ნაიჯელ შორტის მაღალი კლასი გამოიკვეთა. ინგლისელს ხასიათის კაცად იცნობენ. თუ მონდომებით ითამაშა, გიგანტებიც უფრთხიან, თუ არა და ბოთლი ლუდი და იმის ჯანი... შორტი არც ამჯერად ამბობდა უარს ლუდზე, მაგრამ დაფასთან სულ არ ეტყობოდა საყაიმო მიდრეკილებები. მეორე ტურში მან ხალიფმანს თეთრებით კოხტად მოუგო, თუმცა ნაჩემპიონარის მარცხი იმ დღის მხოლოდ მეორე მოვლენა გამოდგა: გვერდით დაფაზე ერნანდესმა და ანანდმა პარტია-შედევრი ითამაშეს. ორი შავტუხა 48 სვლის მანძილზე დაფას არ მოსცილებია და მერე კომენტატორებმა პარტიას ცალკე მიმოხილვები უძღვნეს.

ყველაფერი სიცილიური დაცვიდან დაიწყო. თეთრებით მოთამაშე მექსიკელმა გაითამაშა ვარიანტი, სადაც თეთრების გეგმა დღესავით ნათელია — ლაზიერი, კუ, მხედარი და პაიკი შავ მეფეს საშამათოდ უტევენ. შავების კონტრშანსი ცენტრია, რომელსაც ისინი იპყრობენ და გვერდული დარტყმებით ცდილობენ მეტოქის აბნევას. ანანდმა ეს საქმე ხუთიანზე გააკეთა და მერე მოულოდნელად თეთრი კუს გამოსატყუებლად პაიკი გაწირა. არც თეთრები იყვნენ გულხელდაკრეფილნი, შავი მეფის დაცვით ზღუდეებს მეთოდურად ძარცვავდნენ და 30 სვლის შემდგომ ფრიად ხლართიანი პოზიცია დამყარდა. შავები ლაზიერის ფრთის პაიკებით უტევდნენ, თეთრები მეფის ფრთაზე გვირგვინოსანს ლამის ზედ ყელში სწვდომოდნენ. ანანდის მთავარი ამოცანა მეფის კარგად დამალვა გახდა, შემდეგ კი მის პაიკებს წინ არავინ დაუდგებოდა. უღონო ერნანდესმა ჩემპიონს ეს საქმე უაღრესად გაუძნელა, მეფე ტრიალ მინდორში გამოუგდო და ლაზიერით, ეტლებითა და კუთი უპირებდა დაჭერას. მაგრამ 43-ე სვლაზე მექსიკელი მაინც შეცდა და შავმა მეფემ უსაფრთხო ბუდე, იგივე b5 უჯრა მოძებნა. ანანდის პაიკები ბოლო იერიშზე დაიძრნენ და ერნანდესის წინააღმდეგობა გატეხეს.

ანანდი თამაშის მულამზე მოსულიყო. მესამე ტურში თანალიდერ შორტსაც რომ მოუგო, ცხადი გახდა, რომ ტურნირს მოიგებდა. პრინციპული მხოლოდ ხალიფმანთან მეორე წრის პარტია გახდა, სადაც თეთრებით მოთამაშე რუსმა აღარ ინდომა ინდუსის სახიფათო გამოცდა და ნახევარ ქულას სუფთა სინდისით დასჯერდა. იქით შორმა ერნანდესი დაამარცხა და ბოლო ტურის წინ ლიდერობის შანსი გაუჩნდა. ამისთვის ანანდისთვის თეთრებით უნდა მოეგო. შორტი ეცადა მოგებას, მაგრამ ფიდეს ჩემპიონი ურყევად იდგა. შედეგად ყაიმი და ანანდის სუფთა პირველი ადგილი. ფიდეს პირველკაცმა პირველკაცობა დაამტკიცა.

**დავით გულუა**

საბოლოო შედეგები

**1. ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) 4,5; 2. ნაიჯელ შორტი (ინგლისი) 3,5; 3. ალექსანდრ ხალიფმანი (რუსეთი) 3; 4. ხილბერტო ერნანდესი (მექსიკა) 1**

ეროვნული ბიბლიოთეკა



AP ფილადელფიიდან

# ოთხნი

„ფილადელფია 76-მა" ეგებ კონფერენციის ფინალი ვერც მოიგოს და ჩემპიონობაზე ოცნებაც განზე დაურჩეს, მაგრამ, ერთი რამ ნაღდია: წლევანდელი ენბიეის ექვსი პიროვნული პრიზიდან ოთხი მარადიული სიყვარულის ქალაქში გაემგზავრა: აარონ მაკკი სეზონის საუკეთესო მეექვსე მოთამაშე შეიქნა, ალენ აივერსონი წლის უძვირფასესი კალათბურთელი, დიკემბე მუტომბო კი საუკეთესო დამცველი. სულ ბოლოს სეზონის ჯილდო ფილადელფიელთა თავკაცმა ლარი ბრაუნმა მიიღო, რომელიც წლის მწვრთნელად აღიარეს. მის ხელში „სიქსერზი" ბოლო 16 წლის განმავლობაში პირველად გავიდა აღმოსავლეთ კონფერენციის ფინალში.



REUTERS დენვერიდან

# თასი აქ ჩამოვა

დენვერის „კოლორადო ევალანში" ჰოკეის ეროვნული ლიგის ფინალშია და „ნიუ ჯერსი დევილზს" შეებრძოლება. მოსალოდნელი ქარტეხილები არ აშინებთ კოლორადოელთა ლიდერს და კაპიტანს ჯო საკიკს და უბერებელ მცველ რეი ბურკს, რომელსაც წვერში ჭაღარა შეპარვია. სტენლის თასი წლეულს დენვერში ჩამოვაო, ხითხითებენ ისინი.

# ანა პოდიუმზე

THE SUN



ანა კურნიკოვა ცხრამეტი წლისაა, ჩოგბურთის ელიტაშიც ირიცხება და ფოტოგრაფებისთვის ყველაზე სასურველი სამიზნეცაა. ახლა ტრავმირებულ რუსის მზეთუნახავს მოდელობაში უცდია ბედი და გუშინ პარიზის პოდიუმებზეც გაუვლ-გამოუვლია. მხოლოდ შარშან ამ ჩოგბურთელმა 11 მილიონი დოლარი მიიღო სპონსორებისგან, რათა ის ჩაეცვა და დაეხურა, რაც მათ უნდოდათ. აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ამ პოპულარულ ჩოგბურთელს ჯერ კარიერაში ერთი ტურნირი რაა, ისაც არ მოუგია.

# სპაის მეორე

თანდათან ირკვევა, რომ „სპაის გელზის" გოგოებს ვარსკვლავ-სპორტსმენების გარეშე არ შეუძლიათ. დევიდ ბექემისა და ვიქტორია ადამსის ამბავი მოგეხსენებათ. ახლა კი მეორე „სპაისს", ჯერი ჰალიველს გაუჩენია სპორტსმენი ბოიფრენდი. ესაა, რომ მთლად თავის თარგზე მოჭრილი ვერ უპოვნია, მაგრამ დღეს ყველამ იცის, რომ ჯერის „დალას მავერიქსის" ოტროველა გოლიათი, გერმანელი დირკ ნოვიცკი ყვარობს. გერი გერმანულს სწავლობს და აცხადებს, წინა ცხოვრებაში გერმანელი ვიყავიო. ბიჭის სიმაღლე კი ხელს სულაც არ უშლის.





THE SUN

# ჩეჩენი თათაროღლუ

ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციას წესად აქვს ამ ჭიდაობის ამსახველი საუკეთესო ფოტოების გამოქვეყნება. მაისის თვის საუკეთესო ფოტოდ კი ჩაუთვლია ევროპის ჩემპიონატზე გადაღებული სურათი, რომელზეც აღბეჭდილია, თუ როგორ ახეთქებს ტატამზე თურქი სელიმ თათაროღლუ გერმანელ ვერნერს. თათაროღლუ კი სულაც არ არის თურქი, უბრალოდ თურქული პასპორტით ხელდამშვენებული, ძნელბედობით საზღვარგარეთ გადახვეწილი ჩეჩენი ზელიმხან მაგამედოვი გახლავთ.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, თამაზ გოგებაშვილი, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge